კვირეული „ვერსია“

ვერსია

№3 (1644) 1 – 7 თებერვალი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

როგორ უნდა აღიკვეთოს 14 წლამდე მოზარდების კრიმინალი და რა პრობლემებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ინტერვიუ ადვოკატ მარი შათირიშვილთან

„ხაბეს“ დოსიე

ცემა, სკანდალები და ხმაურიანი განცხადებები – ვინ იყო და რას აკეთებდა ენმ-ის თავმჯდომარეობამდე ლევან ხაბეიშვილი

„მორჩა, დამთავრდა ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი“

როგორ აფასებს კახა კუკავა ენმ-ის თავმჯდომარის არჩევნებს და რატომ დაკარგა მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ფუნქცია

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

თაკო ჩარკვიანი: „რუსეთი რომ აქ შემოვიდეს, დედას ვფიცავარ, თავი აღარაფრად მიღირს!“

„რა უფლება მაქვს, დავუჯერო ევროპული საქართველოს მომხრე ბაჩო დოლიძეს და არ დავუჯერო მიხეილ სააკაშვილის დედას, ორივე ძმას და მამას?“

განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული ძმების – დავით და გურამ კაკულიების სასამართლო პროცესზე პროკურორი დასკვნითი სიტყვით წარსდგა

„ჩვენ არ ვიყავით ქალბატონო (სერგი ქურთიაშვილზე თავდამსხმელები)... ასევე, მივმართავ კვარაცხელიების ოჯახს, არანაირი შეხება მაგ საქმესთან ჩვენ არ გვქონია, ეს არის პროვოკაცია, გადაეცით იმათ, ყველას“, – ამის შესახებ სერგი ქურთიაშვილის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულმა ერთ-ერთმა ძმამ, გურამ კაკულიამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რითაც პროკურორ თამარ ყულჯანიშვილს მიმართა.

პროკურორის შემდგომ, ბრალდებულმა მედიასაც მოუწოდა, რომ მათი ბრალდების საქმე „ობიექტურად გააშუქონ“. აღნიშნული მიმართვა ბრალდებულმა გურამ კაკულიამ მაშინ გააკეთა, როდესაც პროკურორმა თამარ ყულჯანიშვილმა დასკვნითი სიტყვის წარმოთქმა დაასრულა, ბოლოს კი, ბრალდებულებს მიმართა.

„ცხრა თვეა, ისინი აქ იმყოფებიან, ცხრა წუთით მაინც დაფიქრდნენ მათ მიერ ჩადენილ ქმედებაზე. ნამდვილად არ არის სახარბიელო ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ სხვა ცხოვრების წესი აირჩიონ და კარგი საქმით დაამახსოვრონ თავი საზოგადოებას, ამ საქმით ამახსოვრებენ ისინი თავს საზოგადოებას“, – განაცხადა თამარ ყულჯანიშვილმა.

რაც შეეხება პროკურორის დასკვნით სიტყვას, როგორც თამარ ყულჯანიშვილმა განაცხადა, სერგი ქურთიაშვილის მკვლელობის მცდელობა არის საქმე, რითაც შესაძლოა, მძიმე დანაშაული გაიხსნას და ძმებს – დავით და გურამ კაკულიებს ბრალდება დაუდასტურდეთ.

მისი თქმით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სწორედ ძმები კაკულიები არიან ის პირები, რომლებმაც 2022 წლის 27 მაისს, სერგი ქურთიაშვილის განზრახ მკვლელობა სცადეს, რა დროსაც იარაღიდან გასროლით, ქურთიაშვილთან ერთად, მისი მეგობარი გიორგი კაჭკაჭაშვილი დაიჭრა.

ამასთან, პროკურორი სხდომაზე გამოეხმაურა დაზარალებულების – სერგი ქურთიაშვილისა და გიორგი კაჭკაჭაშვილის მიერ პროცესზე მიცემულ ჩვენებას, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დავით და გურამ კაკულიები არ არიან ის პირები, რომლებმაც მათი მიმართულებით გაისროლეს.

პროკურორ თამარ ყულჯანიშვილის განმარტებით, დაზარალებულების ამ ჩვენებებისა და უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ბრალდება მათი ინტერესების დაცვას მაინც გააგრძელებს, ხოლო ჩვენებას სამართლებრივი შეფასება მიეცემა. პროკურორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ უნდა გაიზიაროს დაზარალებულთა ჩვენებები, რითაც ისინი ცდილობენ პასუხისმგებლობა აარიდონ ძმებ კაკულიებს.

რაც შეეხება უშუალოდ საქმეში არსებული მტკიცებულების დეტალებს, როგორც პროკურორმა სხდომაზე განაცხადა, ვიდრე ძმები კაკულიები სერგი ქურთიაშვილზე შეიარაღებულ თავდასხმას განახორციელებდნენ, მათ გარკვეული პერიოდით ადრე, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რაც შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება. 2022 წლის 27 მაისს კი, როდესაც ქურთიაშვილის მკვლელობის მცდელობა განიზრახეს, ვაკეში, ფალიაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების კვეთაზე, იარაღის გასროლით, მას არაერთი ჭრილობა მიაყენეს.

პროკურორის თქმით, შემთხვევის დროს, იარაღიდან ნასროლი ტყვიით დაიჭრა გიორგი კაჭკაჭაშვილი, რომელიც ქურთიაშვილს თან ახლდა.

ასევე, ბრალდების მხარის განცხადებით, მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სერგი ქურთიაშვილზე თავდასხმამდე, ისინი თბილისის ერთ-ერთ უბანში მდებარე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. თავდასხმის შემდგომ კი, ძმებს ბინის მეპატრონისთვის სახლის გასაღები არ დაუბრუნებიათ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ არ გამჟღავნებულიყო მათი გადაადგილების ფაქტი. ამასთან, პროკურორის განმარტებით, გამოძიების შედეგად ბინიდან ამოღებული მტკიცებულებებიდან, მათ შორის, სიგარეტის ნამწვიდან ამოღებულია ძმების ბიოლოგიური მასალა. ასევე, ბინის დათვალიერებისას ნანახია „გუდვილში“ შეძენილი პროდუქტის სტიკერები. პროდუქტები კი, ძმების ნათესავმა გიორგი რუხაძემ იყიდა, რომლის შესახებაც საქმეს ერთვის ვიდეო-მტკიცებულება, თუ როგორ გადაადგილდება ის „გუდვილთან“.

პროკურორის განმარტებით, გიორგი რუხაძე გამოძიებამ 1-ელ ივლისს გამოჰკითხა, რომელმაც ვერ გაიხსენა, იყიდა თუ არა პროდუქტები, საერთოდ იმყოფებოდა თუ არა ნაქირავებ ბინაში, ან ჰქონდა თუ არა კომუნიკაცია ბრალდებულებთან. პროკურორის თქმით, რუხაძის პასუხები იმდენად არადამაჯერებელი იყო, რომ გამომძიებელმა მას კითხვა დაუსვა, ჯანმრთელობის რამე პრობლემა ხომ არ ჰქონდა, რაზეც მან უპასუხა, რომ – არა, აბსოლუტურად ჯანმრთელია.

პროკურორ თამარ ყულჯანიშვილის თქმით, ვიდეო-ჩანაწერების გარდა, მოწმეებიც ადასტურებენ იმას, რომ თავდასხმის დღეს, ორივე ძმას ხელში იარაღი ეჭირა და გარკვეული მიმართულებით ისროდნენ, ორივე მათგანს ეხურა ჩაფხუტი, ხოლო ერთს ეცვა შავი ფერის ზედა, მეორეს კი – ნარინჯისფერი.

„ჩანაწერებით ირკვევა, რომ სერგი ქურთიშვილის მიმართ გაისროლა გურამ კაკულიამ, ამის მერე გაისროლა დავით კაკულიამ, ასევე, ქურთიაშვილის მიმართ. ამ დროს ქურთიაშვილი წაიქცა და ჩანთა დაუვარდა, რომელიც ხელში ეჭირა. ამის შემდეგომ ის ეცადა, თავის შველის მიზნით, მანქანისკენ წასულიყო, რა დროსაც ორივე პირმა კვლავ სროლა განახორციელა. ამ მომენტში კი, ქურთიაშვილი მოექცა „მერსედესის“ მარკის ავტომობილსა და სატვირთოს შუაში. რაც შეეხება კაჭკაჭაშვილს, ის „მერსედესიდან“ მას შემდგომ გადმოვიდა, რაც ქურთიაშვილი უკვე „მერსედესსა“ და სატვირთოს შორის მოექცა“, – განაცხადა თამარ ყულჯანაშვილმა.

ბრალდების მხარის განმარტებით, თავდასხმის შემდგომ, ძმებმა ტანსაცმელი გამოიცვალეს, ხოლო ჩაფხუტები და ხელთათმანები გადაყარეს, თუმცა ეს ნივთები გამოძიებამ ამოიღო.

ცნობისთვის, ძმებ კაკულიებს არაყიშვილის ქუჩაზე, სერგი ქურთიაშვილის ჯგუფურად მკვლელობის მცდელობას ედავებიან, რა დროსაც გიორგი კაჭკაჭაშვილიც დაშავდა. ძმებს, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთასაც ედავებიან. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ძმებ კაკულიების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან, მათ შორის, ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან შესაძლო შემხებლობასთან დაკავშირებით. საგამოძიებო უწყების ცნობით, ბრალდებულებმა დანაშაული სომხეთშიც ჩაიდინეს, სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები სომხეთის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობენ.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელი ოთარ ღვინაშვილი სამხედრო პატივით დაიკრძალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსი დეტექტივი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ ღვინაშვილი, რომელიც 20 იანვრის ღამეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, საგარეჯოში დაიღუპა, სამხედრო პატივით დაიკრძალა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელი უკანასკნელ გზაზე გააცილეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მისმა მოადგილეებმა, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელმა პირებმა, გარდაცვლილი პოლიციელის კოლეგებმა და ახლობლებმა.

საპატიო ყარაულმა გარდაცვლილის ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, დაკრძალვის შემდეგ კი მის შვილს საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა.

დაკრძალვის ცერემონიამდე, ოთარ ღვინაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი თბილისში გაიმართა, სადაც პრემიერ-მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრთან და მთავრობის წევრებთან ერთად, დაღუპული პოლიციელის ხსოვნას პატივი მიაგო და გარდაცვლილის ოჯახის წევრებს პირადად მიუსამძიმრა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საგარეჯოში მომხდარი თავდასხმის დროს დაღუპული პოლიციელი ოთარ ღვინაშვილი დაჯილდოვდა სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

შემოსავლების სამსახური: „ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების გამოვლინების ფაქტები 2022 წელს 24%-მდე გაიზარდა“

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2022 წელს, სასაქონლო ზედნადებების კონტროლის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით გატარებული ღონისძიებების შედეგად, 1427.60 კუბური მეტრი ხე-ტყის (2021 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე 84%-ით მეტი) სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 306 ფაქტი გამოავლინეს, რაც 2021 წლის 12 თვის მაჩვენებელზე, თითქმის 24%-ით მეტია.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სამართალდამრღვევ პირებს ჩამოერთვათ სამეწარმეო საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონელი და მოხდა მისი მოქცევა სახელმწიფო საკუთრებაში.

„ამასთან, 2022 წელს, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტმა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობიდან გამომდინარე, 43 მეწარმის შესახებ გადააგზავნა ინფორმაცია. აღნიშნულმა პირებმა არარსებული და განაშთული ცნობის ნომრებით, ხე-ტყის სასაქონლო ზედნადებებში გამოყენების გზით, 19769.09 კუბური მეტრი დამუშავებული ხე-ტყის მასალის რეალიზაცია მოახდინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი მოკვლევის მიზნით, გადაცემულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში“, – ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

„ხაბეს“ დოსიე

ნინო დოლიძე
მაკა რუხაძე

ცემა, სკანდალები და ხმაურიანი განცხადებები – ვინ იყო და რას აკეთებდა ენმ-ის თავმჯდომარეობამდე ლევან ხაბეიშვილი

ე.წ. მთავარ ოპოზიციურ პარტიაში ტურბულენტობამ პიკს კი არ მიაღწია, არამედ, გადასცდა. „მიშისტების“ ნაწილი ლევან ხაბეიშვილის „გათავმჯდომარეობას“ ზეიმობს, ნაწილი ნიკა მელიას დამარცხებას გლოვობს, ნაწილი კი ყველაფერ ამას შორიდან უყურებს და თანაპარტიელებს „ბელადის“ გადარჩენისთვის ბრძოლოს გააქტიურებისკენ მოუწოდებს. „საექსპერტო წრეების“ აზრიც ორად არის გაყოფილი ანუ ზოგი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ „ხაბე“ ენმ-ს ძველ დიდებას დაუბრუნებს, ზოგნი კი თვლიან, რომ ხაბეიშვილის აგრესიულობა ენმ-ის, როგორც მტრის ხატისა და რევანშიზმის იმიჯს კიდევ უფრო გაამძაფრებს და ერთ დროს ძლევამოსილი პარტია საბოლოოდ „დაყვინავს“. ზოგადად, პოლიტიკაში პროგნოზები უმადურობაა, მით უმეტეს, აღნიშნულ პარტიასთან მიმართებაში, რადგან თავად „ნაცებმაც“ კი არ იციან, რა და როგორ იქნება. შესაბამისად, გრძელვადიანი შეფასებებისგან თავს ჩვენც შევიკავებთ და მხოლოდ იმის შესახებ გიამბობთ, თუ ვინ არის, საიდან მოვიდა და რა ქონების პატრონია ენმ-ის ახალი თავმჯდომარე.

მაშ, ასე, დავიწყოთ: ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, ლევან ხაბეიშვილი 1987 წლის 7 მაისს დაიბადა.

„2012-2013 წლებში, მუშაობდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში, მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე; 2013-2014 წლებში, იკავებდა თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობას.

2017 წელს აირჩიეს თბილისის საკრებულოს დეპუტატად.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყო ოპოზიციური პარტიების ნაწილის საერთო კანდიდატი სამგორის მაჟორიტარულ ოლქში, სადაც ხმების 39.14% (27 506) მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა მეორე ტურში მონაწილეობასა და პარლამენტში პარტიული სიით შესვლაზეც უარი განაცხადა (მთლიანად ოპოზიციასთან ერთად, გაყალბებული არჩევნების მოტივით).

ოფიციალურად, 2020 წლიდან, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, – წერია ქართულ „ვიკიპედიაში“.

სხვათა შორის, ჩვენებური „ვიკიპედია“ იმის შესახებ სიტყვასაც არ ასველებს, თუ რა განათლება აქვს ენმ-ის ახალ თავმჯდომარეს.

2022 წლის ნოემბერში, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ლევან ხაბეიშვილი ენმ-ის თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებდა, კითხვები მის დიპლომზე გაჩნდა ანუ მედია დაინტერესდა, თუ რას წარმოადგენს სასწავლებელი „მცირე აკადემია“, რომელიც „ხაბეს“ აქვს დამთავრებული. ამ თემაზე, საინფორმაციო სააგენტო „თაიმერმა“, თავის დროზე, ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია:

„...ლევან ხაბეიშვილი რამდენიმე წელია, პოლიტიკურ არენაზეა და თავიდანვე საზოგადოების ყურადღება თავისი როყიო განცხადებებით მიიქცია ანუ ისეთი „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდა იყო, როგორებიც მიხეილ სააკაშვილს მოსწონს – ალბათ, გახსოვთ, „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, სააკაშვილმა თქვა, ზომიერად აგრესიული ახალგაზრდები გვჭირდებაო. მაშინ ერთ-ერთი ასეთი „ზომიერად აგრესიული“ დავით კირკიტაძე გახლდათ, რომელიც დღეს, სხვათა შორის, „ხაბეს“ მხარდამჭერია.

ერთი სიტყვით, ხაბეიშვილმა საზოგადოების ყურადღება იმთავითვე სკანდალებით მიიქცია. ერთ-ერთი პირველი სკანდალი ის იყო, რომ „ნაცმოძრაობა“ დატოვა. ეს 2016 წელს მოხდა, როცა ყოფილ მმართველ პარტიას გიორგი ვაშაძე გაემიჯნა და პარტია ახალი საქართველო დააფუძნა ანუ ხაბეიშვილი ვაშაძეს გაჰყვა და ახალი პარტიის სახედ მოგვევლინა, თუმცა ლევანმა, ღამურასი არ იყოს, უკან, ენმ-ში დაბრუნება ზუსტად ერთ წელში მოინდომა – 2017 წელს, ვაშაძეს ზურგი აქცია და ნაციონალურ მოძრაობაში დაბრუნდა. ენმ და ვაშაძე, პრინციპში, მონათესავე სულები არიან – ორივე პროდასავლურია, მაგრამ ამის მიუხედავად, ხაბეიშვილის წინდაუკან სირბილი მაინც დამაფიქრებელია. რა გამოდის? – უპრინციპოა და საითაც ნიავი დაუბერავს, იქით ირყევა, ვითარცა ლერწამი? თუ ასეა, გამოდის, რომ ახლაც კეზერაშვილის ზურგის ქარი ამოძრავებს ხაბეიშვილს, არადა, თავის დროზე, კეზერას სულ მილიონების მომპარავს ეძახდა. ისე, რა უნდა გაგვიკვირდეს, პოლიტიკაში ხომ ყველაფერი მოსულა?! მოსულა ისიც, რომ ადამიანს, რომელსაც ხალხის

დასასრული მე-4 გვერდზე

„ხაბეს“ დოსიე

მე-3 გვერდიდან

მართვაზე აქვს პრეტენზია, დიპლომი არ ჰქონდეს, ან ჰქონდეს, მაგრამ რაღაც გაურკვეველი სასწავლებლის კურსდამთავრებული იყოს. ასეა, სწორედ ხაბეიშვილის შემთხვევაშიც ანუ პარლამენტის ოფიციალურ საიტზე, ხაბეიშვილის ბიოგრაფიის განათლების გრაფაში წერია, რომ დამთავრებული აქვს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის უნივერსიტეტი „მცირე აკადემია“, სპეციალობით – ბიზნესის მართვა.

რა არის „მცირე აკადემია“? – ამას ვერ გეტყვით, რადგან Google-ის საძიებო სისტემაში მცირე აკადემიის შესახებ ვერაფერს იპოვით. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ „ხაბემ“ განათლება რაღაც „ჭ“ კლასის უმაღლესში მიიღო?“

სხვათა შორის, მედიის მიერ დასმული ეს კითხვა დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი.

როგორც აღვნიშნეთ, ხაბეიშვილი პოლიტიკაში გამოჩენისთანავე სკანდალებში გაეხვა და რამდენჯერმე მისი განცხადებები მუშტი-კრივის საბაბიც გახდა. ერთ-ერთი ასეთი „თავპირისმტვრევა“ თბილისის საკრებულოში ვიხილეთ. მაშინ „ხაბე“ საკრებულოს წევრი იყო. ეს ამბავი 2020 წლის 24 იანვარს მოხდა და იმდროინდელი მედია წერდა:

„...ხმაური იყო თბილისის საკრებულოში. სპორტის, განათლებისა და სარევიზიო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაშავდა ნაციონალური მოძრაობის წევრი, ლევან ხაბეიშვილი – საკრებულოს წევრს კოლეგამ თავში ხელი წამოარტყა.

***„მათი სტილია ლაჩრობა, ზურგიდან მოპარვა, ერთ ადამიანს რამდენიმე ქოცი დამესია. მე მინდა ვუთხრა მათაც და საზოგადოებასაც, ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩემი თვალი და შუბლი არის პრობლემა, ძალიან ცდება. მე ჩემი ცხოვრება, ოჯახი, შვილები გადადებული მაქვს ბიძინა ივანიშვილთან, კახა კალაძესთან და ქურდულ სამყაროსთან ბრძოლაში. ვინმეს თუ ჰგონია, რომ მომერია, ცდება. ერთი-ერთზე ვერ მერევიან, ათი კაცი – კი“,* – უთხრა ჟურნალისტებს სხდომიდან გამოსულმა ლევან ხაბეიშვილმა.**

მას დაზიანებების თვალის მიდამოში აქვს“.

ლევან ხაბეიშვილს 2017 წელსაც სცემეს, თბილისის მერიასთან გამართულ აქციაზე. მედია სწორედ მაშინ დაინტერესდა, თუ ვინ იყო ახალგაზრდა, რომელიც ხმაურიან განცხადებებს უფასო სასადილოებზე, საკრებულოს მიერ თანხების არამიზნობრივად ხარჯვასა და სხვა გახმაურებულ საქმეებზე აკეთებდა ანუ კორუფციას ამხელდა.

„ლევან ხაბეიშვილი, რომელიც პროფესიით ეკონომისტია, 1987 წლის 7 მაისს, თბილისში დაიბადა. მისი თქმით, უმაღლესი განათლება ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებულ უნივერსიტეტ „მცირე აკადემიაში“ მიიღო. რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 2006 წლიდან, სოციალური კვლევის ინსტიტუტ „ბი-სი-ჯი“-ში მუშაობდა.

***„2008-2010 წელს, უკვე დედაქალაქის მერიაში, კერძოდ, ისან-სამგორში, ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელად ვმუშაობდი, 2010-2012 წლებში კი – ისან-სამგორის რაიონში, სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელად“,* – ამბობს ხაბეიშვილი.**

პოლიტიკოსმა მოგვიანებით მუშაობა ისევ საჯარო სექტორში გააგრძელა.

***„2012 წლიდან 2013 წლის მაისამდე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსურ სამსახურში წამყვან სპეციალისტად ვმუშაობდი, 2013 წლის მაისიდან 2014 წლის აგვისტომდე კი, სანამ მერიიდან უკანონოდ გამათავისუფლებდნენ, რაც სასამართლოს სამმა ინსტანციამაც დაადგინა, დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში, უფროსის მოადგილის პოზიციას ვიკავებდი“,* – აღნიშნავს ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.**

ამავდროულად, ლევან ხაბეიშვილი 2012 წელს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაში, მისივე თქმით, 153-ე ადგილს იკავებდა, თუმცა მისი პოლიტიკური აქტივობა მხოლოდ ამით არ დასრულებულა: *„2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატი ვიყავი“.*

ამის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ბლოკში „პაატა ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის“ იღებს. ამავდროულად, გიორგი ვაშაძის მიერ დაფუძნებული პარტია ახალი საქართველოს წევრი და ერთ-ერთი ლიდერია. ლევან ხაბეიშვილის თქმით, მისი ახალ საქართველოში გადასვლა ნაციონალური მოძრაობის მაშინდელ ლიდერებთან დაპირისპირების გამო მოხდა.

***„ამ ბლოკით იმიტომ ვიღებდი მონაწილეობას, რომ ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება იყო ბოკერიასთან, მაჭავარიანთან და სხვებთან, რასთან შეგუებასაც მე არ ვაპირებდი, სწორედ ამიტომ გავყევი ვაშაძეს თავის დროზე. ამასობაში, 2014 წელს, მეგობრებთან ერთად დავაფუძნე მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“,* – აღნიშავდა ლევან ხაბეიშვილი 2017 წელს, Allnews.ge-სთან საუბრისას.**

ერთი სიტყვით, ასეთია ლევან ხაბეიშვილის წარსულის მოკლე მიმოხილვა. ახლა კი იმის შესახებ, თუ რა ქონებას ფლობს ენმ-ს ახალი თავმჯდომარე და ბარემ, ექსთავმჯდომარის ანუ ნიკა მელიას ქონებრივი დეკლარაციაც გავიხენოთ.

რა ქონებას ფლობს ლევან ხაბეიშვილი

ლევან ხაბეიშვილს, როგორც პარლამენტის წევრს, ქონებრივი დეკლარაცია 2022 წლის თებერვალში შეუვსია. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მის სახელზე უძრავი ქონება არ ფიქსირდება, მაგრამ

ხაბეიშვილის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომობილი Toyota Highlander-ი, რომელიც 2020 წელს, 7 000 აშშ დოლარად შეუძენია. დეკლარაციის შევსების მომენტში, ლევან ხაბეიშვილის სახელფასო ანგარიშზე – 9 334 ლარი, ხოლო საკრედიტოზე – ჯამში, 2 179 ლარი ჰქონდა.

გარდა ამისა, პარლამენტის წევრის პოზიციაზე, გასულ წელს, ხაბეიშვილის შემოსავალმა 42 412 ლარი, ხოლო თბილისის საკრებულოს წევრის პოზიციაზე, 2021 წლის პირველ ხუთ თვეში – 12 864 ლარი შეადგინა. დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ ხაბეიშვილს 23 500 ლარის მოცულობის სამომხმარებლო სესხი ჰქონია.

აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ ლევან ხაბეიშვილი ერთ-ერთია იმ დეპუტატებს შორის, რომლის ქონებრივი დეკლარაციაც, 2022 წელს, საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს მიერ უარყოფითად შეფასდა და ამის გამო, დაჯარიმდა კიდეც. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით, დაჯარიმების მიზეზი გახდა ბიუროს მიერ მოთხოვნილი საბანკო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენა. ამასთან, მათივე შეფასებით, ხაბეიშვილის დეკლარაციაში არ იყო მითითებული ინფორმაცია თანამდებობის პირის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.

რა ქონებას ფლობენ ნაყოფია და მელია

მას შემდეგ, რაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარე აირჩიეს, პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარისა და პოლიტსაბჭოს წევრობის პოსტი დატოვა მილიონერმა კობა ნაყოფიამ. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ნაყოფია მხოლოდ პარტიის წევრობით შემოიფარგლება.

ორი სახლი – მოსკოვში, რვა სახლი – თბილისში, ვილა – კანარის კუნძულებზე და აგარაკი გონიოში – ეს ერთ-ერთი, ყველაზე მდიდარი ქართველი პოლიტიკოსის, კობა ნაყოფიას ქონებრივი მდგომარეობაა. სხვათა შორის, სახლები და აგარაკები საქართველოში, რუსეთსა და ესპანეთში, ნაყოფიას ოფიციალურად აქვს დეკლარირებული.

კერძოდ, ნაყოფიას საკუთრებაშია 55 კვ.მ. ფართობის ბინა მოსკოვში (კაშერსკოე შოსე #55), 167 კვ.მ. ფართობის სახლი რუსეთში (მალაია ორდენკის ქუჩა), რომელიც კობა ნაყოფიას მეუღლის სახელზეა რეგისტრირებული და 300 კვ.მ. ფართობის ვილა ესპანეთში, კანარის კუნძულებზე, რომელსაც თავად კობა ნაყოფია და მისი მეუღლე ფლობენ. ცოლ-ქმრის საკუთრებაშია თბილისის პრესტიჟულ უბანში, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე რამდენიმე სახლიც: 198 კვ.მ., 223 კვ.მ., 232 კვ.მ., 173 კვ.მ., 204 კვ.მ. ამავე კორპუსში ნაყოფიების ოჯახის განკარგულებაშია ოთხი ავტოსადგომიც. გარდა ამისა, კობა ნაყოფიას საკუთრებაშია დიღმის სასწავლო მეურნეობაში 11 300 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი და 10 670 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი.

კობა ნაყოფიას მეუღლე ფლობს კიდევ ორ ბინას თბილისში, კერძოდ, ამბროლაურის ქუჩაზე. ბოლო დეკლარაციაში კობა ნაყოფიას მითითებული აქვს 836 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი გონიოში და 400 კვ.მ. სახლი, რომელიც საერთო ჯამში, 2016 წელს, 200 000 აშშ დოლარი დაუჯდა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, კობა ნაყოფიას ოჯახი ფლობს უახლესი მოდელის შვიდ ძვირადღირებულ ავტომობილს და ლადო გუდიაშვილის ორ ფერწერულ ტილოს.

ახლა, ვნახოთ, რა ქონების მფლობელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახლა უკვე ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია. ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ნიკა მელია თბილისში ორ ბინასა და ავტოფარეხის 15%-იან წილს ფლობს.

დეკლარაციის შევსების მომენტში, ნიკა მელიას ლიბერთი ბანკის სახელფასო ანგარიშზე – 20 117 ლარი, ნაღდი ფულადი თანხის სახით კი – 8 000 დოლარი ჰქონდა. გარდა ამისა, 2021 წელს, მისი, როგორც პარლამენტის წევრის შემოსავალი 39 391 ლარი ყოფილა.

თაკო ჩარკვიანი: „რუსეთი რომ აქ შემოვიდეს, დედას ვფიცავარ, თავი აღარაფრად მიღირს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. პარტიის მხარდამჭერთა უმრავლესობამ არჩევანი ლევან ხაბეიშვილზე გააკეთა, რომელიც საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდება, რომ ენმ უფრო აქტიურ პოლიტიკას დაიწყებს და პარტია გაძლიერდება... ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე პროცესებზე „ვერსია“ პარტია კანონი და სამართალის ლიდერს, დამოუკიდებელ დეპუტატ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა:

„რა უფლება მაქვს, დავუჯერო ევროპული საქართველოს მომხრე ბაჩო დოლიძეს და არ დავუჯერო მიხეილ სააკაშვილის დედას, ორივე ძმას და მამას?“

– მინდა, მივულოცო საზოგადოებას, რომ ახალი ტექნოლოგიებით ჩატარებული არჩევნების პრეცენდენტი შედგა. ეს უმნიშვნელოვანესია, პრაქტიკულად, შედგა ექსპერიმენტი, რომ ჩვენთანაც არის შესაძლებელი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიით ჩატარდეს არჩევნები.

ცხადია, ამის შემდეგ მივულოცავ ლევან ხაბეიშვილს გამარჯვებას, რომელიც ამავე დროს უდიდესი ტვირთია, რაც ვფიქრობ, ვერ იტვირთა ნიკა მელიამ. ამაში ვგულისხმობ უმოქმედობას, კონფლიქტურ ხასიათს... მამუნათებდნენ, 10 ოქტომბერს რატომ არ მოვიდა ხალხი თქვენს აქციაზეო და როგორ მოვიდოდა, როცა მათი პარტიის მოქმედი თავმჯდომარე მესიჯებს გზავნიდა, არ მიხვიდეთ, ეს აქცია მიშას არ აწყობსო?! მაშინ დავეჭვდი... მე ხომ მათი პარტიის თავმჯდომარეობა არ მინდოდა?! ჩემი პარტია მაქვს და პირუთვნელად, გულწრფელად ვმოქმედებდი. მაშინ მივხვდი, რომ ამ ადამიანს ეს არ უნდოდა. ამის შემდეგ აქცია დაშალა, ხალხი დაღალა, იმდენი ატარა... ეს არ აპატია ამომრჩეველმა, ამოიცნეს და მიხვდნენ, რომ რაღაც ცვლილებაა საჭირო. ნებსით თუ უნებლიეთ აკეთებდა ყველაფერ ამას, ფაქტია, რომ ვერ ივარგა. 37%-დან 8%-მდე რომ ჩამოვა პარტია, ე.ი. რაღაც ვერ გააკეთე.

ასეთი ტალახის სროლა დაიწყეს, პალტო უხსენეს ხაბეიშვილს და ტყუილები, მერე იმათგან წამოვიდა, მანქანა უხსენეს. ეს არის საშინელება, ამიტომ ამომრჩეველმა გადაწყვიტა, რომ რაღაც ცვლილება ყოფილიყო.

არ მინდა, ავერიდო არც იმ დეტალს, როცა ვანო მერაბიშვილს ახსენებენ, თან ცოტა სასაცილოა, მე ვიყავი მათ ოპოზიციაში და მათი პარტიის მაღალჩინოსნები ჩემნაირებს ელაპარაკებიან სისხლიან 9 წელზე, სასაცილოა. ხმა არ ამოუღიათ მაშინ, თუ რამე პრეტენზია ჰქონდათ. ერთმა მათმა წარმომადგენელმა მითხრა, რატომ არ ამბობ, რომ არაფორმალური მმართველიაო? – ობიექტურობას ვერ ვკარგავ ხოლმე. არაობიექტური როგორ არის? – მათი პარტიის დამფუძნებელია და ამ პარტიაში, რომელიღაც ფლანგს მიემხრო.

– ვანო მერაბიშვილზე საუბრობთ, არა?

– დიახ, პარტიის დამფუძნებელია მერაბიშვილი.

– მას თანამდებობა არ უკავია პარტიაში და ამიტომაა საუბარი არაფორმალურ მმართველობაზე, ქალბატონო თაკო.

– კი, მესმის, მაგრამ უფლება ხომ არავის ჩამოურთმევია, მიმხრობოდა ერთ-ერთ კანდიდატს? ღიად დაჰყვებოდა, როგორც რიგითი. ეს უკვე აღარ ნიშნავს არაფორმალობას. მასე, მელიაზეც ამბობდნენ, რომ მის უკანაც ვიღაც იდგა. არ გავიმეორებ მის გვარს, რადგან არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო, ვისზეც ვსაუბრობ. არ არის ეს წესი და რიგი.

ამ აწუმპება-ატალახებაზე ამომრჩეველმა, რა თქმა უნდა, მოქმედ თავმჯდომარეს მოსთხოვა პასუხი. ეს ბუნებრივიცაა...მერე იყო „ტროლ-ბოტების“ გაშიფვრა, რაღა დაგიმალოთ და, ჩვენც გავაკეთეთ ეს, გვაინტერესებდა... „ქართულ ოცნებას“ თუ დაემსგავსე „ტროლ-ბოტობაში“... მე პირადად შემეშინდა, ეს ბიჭი რომ მოვიდეს სათავეში-მეთქი! არ უნდა მოვრჩეთ ამ საშინელებას?!

– ნიკა მელია იყენებდა „ტროლებს“ და „ბოტებს“?

– რა თქმა უნდა, ამოღებული გვაქვს ე.წ. სქრინები. წარმოუდგენელ სიტყვებს, წყევლა-კრულვას წერდნენ... ამიტომ შევშფოთდი და მე თუ არ მომეწონა ეს, ყველა მოქალაქე ხედავდა ამას და მიხვდა, რომ ცვლილება უნდა მომხდარიყო...

– ცვლილებაში რას გულისხმობთ, გარდა თავმჯდომარის შეცვლისა?

– გამოსვლას, აქტიურობას, მათი პარტიის ლიდერი არის ციხეში და ამ დროს, მუდმივად ცარიელია სასამართლოს ეზო. უცხოელებთან შეხვედრებს ჩვენც ვმართავდით, ასე ყველა ვმუშაობდით და შენ იძახო, რომ ვიღაცას სადღაც შეხვდი და ამიტომ აქციები არ გამართო, ეს უპატიებლად ჩათვალა ამომრჩეველმა.

მოიქცევა ნორმალურად ხაბეიშვილი ხალხისთვის? – არადა, იგივე გზას გაუყენებენ. ეს იდეალისტი ამომრჩეველია, დასავლური ტიპის...

– ქალბატონო თაკო, რა ინფორმაცია გაქვთ მერაბიშვილ-სააკაშვილის ურთიერთობის შესახებ. ზოგი ამბობს, რომ მათ შორის ურთიერთობა გაფუჭებულია...

– რა უფლება მაქვს, დავუჯერო ევროპული საქართველოს მომხრე ბაჩო დოლიძეს, რომლის განცხადებაც იყო და არ დავუჯერო მიხეილ სააკაშვილის დედას, ორივე ძმას და მამას? ბაჩო დოლიძე გიგა ბოკერიას პარტიაში იყო, რომელმაც დაშალა პარტია 2016 წელს და რა სანდოობით სარგებლობს ასეთით, რომ არ ვენდო სააკაშვილის ოჯახს?! ქალბატონმა გიულიმ პირდაპირ თქვა, ნუ სპეკულიანტობთო, გადაირია ადამიანი, რომელსაც შვილი უკვდება. დოკუმენტებში წერია უკვე, რომ ეს ადამიანი შეიძლება მოკვდეს. მოწამლულია და 68 კგ-მდე იწონის. ამ დროს, პარტიის თავმჯდომარე გამოდიოდა ადგილობრივი არჩევნების დროს და ამბობდა, მიშა დაიცდის 30-მდეო... მიშას პლაკატი არ ასწიოთ, მიშა არ ახსენოთ... გიგა ბოკერია რომ ეუბნებოდა, აქ მიშას პლაკატი არ ასწიოთო, რას აკეთებდა იმ დროს პარტიის თავმჯდომარე?! რატომ არ ეუბნებოდა, ამას როგორ ბედავო?! მიშა სააკაშვილი, ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი რგოლი იყო, თუ როგორ უნდა მივიღოთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რადგან მოთხოვნებში პირდაპირ წერია, რომ პოლიტპატიმარი არ უნდა გყავდეთ და კაცი არ უნდა მოკვდესო! ამიტომ, ნიკა მელიას უნდა ეთქვა ბოკერიასთვის და სხვებისთვის, დიდი ბოდიში, შეიძლება, თქვენ ეს არ მოგწონთ, მაგრამ დასავლეთი გვთხოვს, რომ საქართველო მოიქცეს ღირსეულად და არ შემოგვაკვდეს კიდევ ერთი პრეზიდენტიო.

– წეღან თქვით, ხაბეიშვილს აკვირდება ამომრჩეველი, როგორ იმოქმედებსო, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? მე, მაგალითად, მახსენდება როგორ დატოვა გიორგი ვაშაძე არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე და კონკურენტის საარჩევნო შტაბს შეუერთდა..

– ეგენი ყველა ერთმანეთის პარტიიდან არიან გასული. თუ ხაბეიშვილი გავიდა ვაშაძისგან, გიორგიც გასულია ენმ-დან და სხვა პარტია შექმნა. ამიტომ, ვერ გავარჩევ...

საპარლამენტო არჩევნებში რომ შემომთავაზეს, უარი ვთქვი და სიით არ გავედი. სიის პირველ ხუთეულზე იყო საუბარი და უარი ვთქვი, რადგან ჩემი პრინციპები და ღირებულებები მაქვს...

დედაჩემმა მითხრა, მამაშენი ვერ მოესწრო და იქნებ, მე მომასწროთო... მართლა მინდა, მოვესწროთ დასავლური ტიპის ქვეყანას. რუსეთი რომ აქ შემოვიდეს, დედას ვფიცავარ, თავი აღარაფრად მიღირს. დამოუკიდებლობა რომ დავკარგოთ, ამაზე დიდი სირცხვილი და ფსკერი არ შეიძლება ერს დაემართოს.

ერთხელ არ მითქვამს, რომელიმე კანდიდატის მომხრე ვარ-მეთქი. მივესალმები ყველა გულწრფელ, დასავლური იდეის მატარებელს. გულწრფელობა, ნამდვილობა, მოქმედების დაწყება და პასუხისმგებლობის გრძნობა – მინდა, ასეთი ადამიანი ვნახო, ასეთი მელია მე ვერ ვნახე.

– როგორ გგონიათ, დაშლის ნიკა მელია პარტიას?

– არ მგონია, ასე მოხდეს... ხომ იცით, ხასიათი ადამიანისა, ვფიქრობ, ხაბეიშვილის დროს პარტია კიდევ უფრო მოიკრებს წელს და ამომრჩეველს.

„მორჩა, დამთავრდა ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

როგორ აფასებს კახა კუკავა ენმ-ის თავმჯდომარის არჩევნებს და რატომ დაკარგა მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ფუნქცია

ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში შიდაპარტიული არჩევნები ლევან ხაბეიშვილის გამარჯვებით დასრულდა. ასე რომ, ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ პარტიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს... რას შეცვლის აღნიშნული ქართულ პოლიტიკაში? – „ვერსია“ პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა:

– არ მგონია, რომ ამ ამბავს ქართული პოლიტიკისთვის რამე ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს. ვფიქრობ, ნაციონალურმა მოძრაობამ, რამდენიმე წელია, ამოწურა შანსი ქართულ პოლიტიკაში. ერთადერთი ისაა, რომ შეიძლება, ეს გამოდგეს, როგორც თეორიული მაგალითი და კარგი გაკვეთილი სხვა ორგანიზაციებისთვისაც – როდესაც პარტია დაკარგავს ფუნქციას, იდეებსა და მიზნებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და დარჩება მხოლოდ სტრუქტურა, აუცილებლად კვდება. ეს დაემართა მელიას პარტიას სააკაშვილის ჩამოსვლის შემდეგ, დაკარგა ფუნქცია, რაც ჰქონდა 2018-2020 წლებში.

– ფუნქციის დაკარგვაში რას გულისხმობთ?

– მელიას 2018 წლიდან ჰქონდა არჩეული კურსი, რომ ნაციონალური მოძრაობა აღარ ყოფილიყო განხილული, როგორც სააკაშვილის რეჟიმი, მომხდარიყო სააკაშვილისგან პარტიის დისტანცირება და მელიას უნდოდა, მოეხერხებინა მთელი ოპოზიციური ხმების კონსოლიდაცია, რათა შეეცვალა ხელისუფლება. ამ კურსს მზარდი მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ სააკაშვილის ჩამოსვლამ ეს პროცესი მოკლა, რადგან მთელი პარტია სააკაშვილის ინტერესების დაცვაზე გადაერთო და ბუნებრივია, ვეღარ მოხდებოდა დისტანცირება სააკაშვილისგან. შესაბამისად, მთელი ის ხმები, რაც უნდა ყოფილიყო გამარჯვებისთვის ძირითადი რესურსი, ამ პარტიამ დაკარგა და გადაიქცა სააკაშვილის „ფანკლუბად“. თავად პარტიის ლიდერი კი აცხადებს, რომ ნამდვილი უკრაინელია და საქართველო საერთოდ არ აინტერესებს.

– ხაბეიშვილი კი იკავებს სააკაშვილის უფრო გულმხურვალე მხარდამჭერის ნიშას, მელიასთან შედარებით, მაგრამ კულუარული ხმით, ხაბეიშვილის უკან მდგომი მერაბიშვილ-კეზერაშვილის ტანდემი საერთოდ არაა სააკაშვილის მხარდამჭერი და მის თემას მხოლოდ პარტიაში პოზიციის განსამტკიცებლად იყენებს...

– კი, მეც მაქვს ეგ ინფორმაცია... გუშინ ერთი ადამიანი მესაუბრა, რომელიც ვანო მერაბიშვილის საახლობლოდანაა და მითხრა, რომ იმ ინტერვიუში, რომელიც სააკაშვილმა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემას მისცა, გულისხმობდა, სწორედ ვანო მერაბიშვილს. ბუნებრივია, რომ ეს ამ გუნდისთვის იყო ძალიან შეურაცხმყოფელი და საწყენი.

ამ დაპირისპირებაში არც ერთი მხარის ადვოკატად არ გამოვდგები, მაგრამ აშკარად ტყუილია, რომ რუსეთმა, ივანიშვილმა და მერაბიშვილმა დაგეგმეს სააკაშვილის დაბრუნება. 6 წელია, ეს კაცი ტელეეკრანებიდან იგლიჯებოდა, მინდა, საქართველოში დაბრუნებაო. მე და ძალიან ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ვეუბნებოდით, რომ არ უნდა დაბრუნებულიყო. სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც ასეთი იყო, რომ არ უნდა დაბრუნებულიყო, ამის მიუხედავად, მაინც დაბრუნდა და ეს პატარა კაცუნას კომპლექსია, რომ ახლა სხვებს აბრალებს.

– პოლიტიკაში რომელიმე ვერსიის ასე ცალსახად გამორიცხვა გონივრულია?

– არა. ეს ამბავი გამორიცხულია, რადგან გუბაზ სანიკიძის გარდა, არ მახსენდება არც ერთი ადამიანი, რომელიც მიშას ეუბნებოდა, ჩამოდიო.

– თუ სააკაშვილს მერაბიშვილთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, რატომ არ შეუშალა ხაბეიშვილს ხელი, რომ მისი თემით მანიპულაციით გაემარჯვა, თუ ეს მართლაც ასე იყო?

– საერთოდ, ეს პრობლემა მელიას მსგავსად, სააკაშვილსაც აქვს. ჩანს, რომ ორ სკამზე ჯდომა კარგია, მაგრამ სტრატეგიულად წამგებიანია. ალბათ, იმიტომ, რომ ორივე მხარეს იყვნენ მისი მხარდამჭერები და არ უნდოდა, რომ გაენაწყენებინა. სააკაშვილისთვის მელია-ხაბეიშვილზე მეტად, ალბათ, ფასეული ის იყო, რომ მელიას გუნდში იყვნენ ახალაიები, ხერხეულიძე, წიკლაური, რომლებიც ჭეშმარიტ მიშისტებად“ ითვლებიან და ასევე, ხაბეიშვილის მხარესაც იყვნენ ვარშალომიძე, ბოტკოველი და სხვები, რომლებიც, ასევე, „მართლმორწმუნე მიშისტებად“ ითვლებიან. ამიტომ, ორივე მხარის ერთგულების შენარჩუნება უნდოდა და ისე გამოვიდა, რომ შეიძლება, ორივე დაკარგოს.

– რა კონტექსტში შეიძლება დაკარგოს სააკაშვილმა საყრდენი საკუთარ პარტიაში?

– ერთმა ადამიანმა თქვა, ყველას აქვს თავისი ფუნქცია, როგორც პოლიტიკურ, ისე დრამატულ სცენაზე და როცა ამ ფუნქციას ამოწურავს, მერე სასაცილოა მისი ქმედებებიო. მაგალითი მოიყვანა, ოტელო რომ დეზდემონას დაახრჩობს, შემდეგ ხომ ვეღარ გამოვა დეზდემონა სცენაზე? ასეა, მორჩა და დამთავრდა ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი...

ეს ისევე სასაცილოა, როგორც „მგიმო“-ს სტუდენტი ელენე ხოშტარია რომ აცხადებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ზურა ჯაფარიძესთან ერთად. ეს სერიოზული პოლიტიკის ნაწილი არაა. ესაა პოლიტიკური ჭაობი, სადაც, უბრალოდ, ყიყინებენ...

– ასეთი განმათავისუფლებელი მოძრაობა ადრეც დაანონსდა, მაგრამ... რატომ ვერ იკრებს ძალას მსგავსი მოძრაობები საქართველოში, რას ფიქრობთ?

– ეს ხალხი არის ძალიან შორს პოლიტიკისგან. ფეხბურთის მოედანზე ძაღლი რომ გამოვარდება, გოლს ხომ ვერ გაიტანს? ზუსტად ასეა – ამ ხალხს შეხება არ აქვს ქართულ პოლიტიკასთან, ქართველ ერთან, მის ისტორიასა და კულტურასთან. აქვთ რაღაც ფული, რომელიც ზოგს კეზერაშვილმა მისცა, ზოგს – ჩხარტიშვილმა და ამ ფულს ფლანგავენ. სხვა ფუნქცია არ გააჩნიათ და სასაცილოა, მე სერიოზულად ვერ აღვიქვამ, ეროვნულ– განმათავისუფლებელი მოძრაობის შუაში, ზურა ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია რომ დგანან.

– ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენთვის, ქართველებისთვის, ილია ჭავჭავაძესა და ზვიად გამსახურდიასთან ასოცირდება. ამიტომ, მეც ვფიქრობ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი იდეა და სიტყვები გაბაიბურდა, რადგან როცა ასეთ მოძრაობას აანონსებ, ერთი ბრიფინგით არ უნდა შემოიფარგლებოდე...

– თათია, ჩემზე უმცროსი ხართ და შეიძლება, არ გახსოვდეთ, მე კი მახსოვს ეროვნული მოძრაობის თითოეული პერიპეტია და იქ ისეთი ენერგეტიკა და გულწრფელობა იყო! მარტო მერაბ კოსტავას ისტორია რად ღირს, რომელმაც 8 წელი გაატარა ციმბირში, კატორღაში. ახლა „მგიმო“ მოიარა ელენე ხოშტარიამ და ზურა ჯაფარიძე რეზინის ეკლესიებს ბერავდა... გავიგე, რომ მერაბ კოსტავა, შეიძლება, კიდევ დიდხანს არ განმეორდეს ჩვენს ისტორიაში, მაგრამ რაღაცით ხომ მაინც უნდა ეხმიანებოდე იმ მოძრაობას?! არც კი ღირს ამაზე საუბარი!

– გასაგებია, მაგრამ თქვენ ხომ გაქვთ კონსერვატიულ-ტრადიციული კურსი აღებული, რატომ არ აქტიურობთ, რატომ ხართ ასე უმოქმედოდ, პოლიტიკური თვალსაზრისით?

– შემოდით პარტიის გვერდზე და ნახავთ, რომ თავისუფალი საქართველო არის ყველაზე აქტიური პარტია. ბანკების გამოსახლება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური საკითხია ქვეყანაში. რაც შეეხება საკითხს, რატომ არ ვჩანვართ, როგორც პარტიებია მიბმული კეზერაშვილზე, ჩხარტიშვილსა და სხვა დონორებზე, ზუსტად ასეა ტელევიზიებიც...

– ესე იგი, დაფინანსებას ვერ პოულობთ, ბატონო კახა?

– დიახ, მაგრამ ამის გარდა, ჩვენი პარტია აკრძალულია ტელე-მედია სივრცეში იმის გამო, რომ არც ერთ პოლუსს არ მივეკუთვნებით. ეს ჩვენი არჩევანია და ამაზე კი არ ვწუწუნებთ, ასე გადავწყვიტეთ – სჯობს, ამ ეტაპზე, ვიყოთ იგნორირებულნი, ვიდრე ჩავდგეთ „ქოცური“ ან „ნაცური“ ბანაკის რიგებში. ეს რთული, მაგრამ გასავლელი პერიოდია. მგონია, რომ დამთავრდება ეს ორპოლუსიანობა საქართველოში და ყველა, ვინც იყო რომელიმე მხარეს, აღმოჩნდება პოლიტიკურ სანაგვეზე. ახლა გვირჩევნია, ვიყოთ „აბსაიდში“, ვიდრე მერე აღმოვჩნდეთ პოლიტიკურ სანაგვეზე.

როგორ უნდა აღიკვეთოს 14 წლამდე მოზარდების კრიმინალი და რა პრობლემებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ინტერვიუ ადვოკატ მარი შათირიშვილთან

ია გრიგალაშვილი

წლებია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით, ბიზნესმენებისთვის, რადგან მოზარდები, ძირითადად, მაღაზიებს, რესტორნებსა და მსგავს კერძო ობიექტებს ძარცვავენ. 2016 წლის იანვრიდან ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის მინიმალურ ასაკად 14, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისთვის – 16 წელი განისაზღვრა. კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. მოზარდის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა. განრიდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას გულისხმობს და სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმად ითვლება, რომლის მიზანი არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ასევე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაა.

ბოლო რამდენიმე თვეა, ქვეყანაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა დანაშაულმა განსაკუთრებით იმატა. წელს, იანვარში, თბილისში, მხოლოდ ერთ ღამეში, არასრულწლოვნების დაჯგუფებამ 6 ობიექტი გაძარცვა. წაღებულია დიდი რაოდენობით თანხა, მოზარდები კი ისევ დაუსჯელები არიან. გაძარცვული ობიექტების მეპატრონეები ვარაუდობენ, რომ კრიმინალური დაჯგუფების მიღმა, მათი მფარველები და ორგანიზებული ჯგუფები დგანან.

ორი თვის წინ, ორმა არასრულწლოვანმა, გლდანში მდებარე აზიური რესტორანი გაძარცვა, როგორც რესტორნის ერთ-ერთი მფლობელი გვიყვება, წაღებული ნივთი ვერ დაიბრუნეს და არც მორიგი თავდასხმისგან არიან დაცულნი:

„15 ნოემბერს, დაახლოებით, 8:10 საათზე(დღის სინათლეზე, საკმაოდ მოძრავ ქუჩაზე), ორი არასრულწლოვანი (ერთი – 13 და მეორე – 15 წლის) შეიჭრა კაიშის ობიექტზე, გატეხა კარი და წაიღო ვოლტის პლანშეტი (ეფლის აიპედი, რომელიც ვოლტისგან და ვოლტის მოთხოვნით, 1800 ლარად შევიძინეთ).

გამოძიება დაწყებულია, ამოცნობილია ეს ორი არასრულწლოვანიც, მაგრამ არის მეორე პრობლემა – 13 წლის არასრულწლოვანს არ ეკისრება პასუხისმგებლობა (არც მის მშობლებს/მეურვეებს, სამწუხაროდ).

15 წლისას ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუმცა ძალიან გართულებულად, ბევრი ბარიერითა და ძალიან იშვიათ შემთხვევებში. ჩვენი ობიექტის გაძარცვის შემდეგ, ის პოლიციამ კიდევ სხვა ძარცვისას გამოიჭირა და როგორც ვიცით, ამიტომ დააკავეს.

ასეთია ჩვენი კანონმდებლობა, რომელიც მიღებულია დაჩქარებული და ჩვენს რეალობაზე მოურგებელი ფორმით, პირდაპირ დაკოპირებულია ევროკავშირიდან, რაც ძალიან ცუდია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვემხრობით არასრულწლოვანის ციხეში ჩასმას და გაკრიმინალებას პურის, ან ბურთის მოპარვის გამო, მაგრამ არც ის გვინდა, რომ უფრო საშიშ დამნაშავედ გამოიწვრთნას. ეს ბავშვები სწავლობენ და იწვრთნებიან პროფესიონალ დამნაშავეებად. მათ ამისთვის აქვთ 5-6 წელი – 18 წლამდე, სანამ გახდებიან სრულწლოვნები და ამ პერიოდში აქვთ დაუსჯელობის ლიმიტი.

ჩვენ ნამდვილად არ გვინდა ამ კანონში ცხოვრება, არც იმაში, რაც მანამდე იყო. შუალედი გვინდა და მეტი ფიქრი პარლამენტში, კანონის კოპირება არ არის გამოსავალი და რა თქმა უნდა, სწრაფი რეაგირებაც საჭიროა. როგორც გვითხრეს, ეს ბავშვები და მათნაირები ასე „დათარეშობენ“ ქვეყნის მასშტაბით და მათი გამჩერებელი არავინაა, კანონი მკაცრად იცავს მათ უფლებებს, ჩვენსაზე (დაზარალებულზე) მეტადაც კი.

პრაქტიკაში, მოგებული მხოლოდ დამნაშავე მხარე რჩება. ეს არასრულწლოვნებიც, მათი „კეთილის მსურველებისგან“ (მშობლები, უფროსი დედ-მამიშვილები, გარემოცვა) კარგად არიან გაცნობიერებულნი კანონებში და იციან, როგორ იმოქმედონ, რომ „სუფთად“ გამოვიდნენ. სავარაუდო თანამზრახველებიც ხომ, ხშირად, ეს „კეთილისმსურველები“ არიან.

ჩვენი სურვილია, რომ ეს პლანშეტი დაბრუნდეს. მეტი არაფერი. სავარაუდოდ, ვინმე „პატიოსანი დამშლელი“ ამ პლანშეტს 100-200 ლარად ჩაიბარებს და გაყიდის ნაწილებად. ჩვენ კი ისევ 1800 ლარად გვიწევს „ვოლტთან“ თანამშრომლობის გაგრძელება-აღდგენა“, – გვიყვება დაზარალებული.

* * *

რა ხარვეზებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონში (აღსრულებაში) და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი? – „ვერსია“ ადვოკატ მარი შათირიშვილს ესაუბრა.

– ქალბატონო მარი, რას ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახლანდელი კანონი და როგორ იცვლებოდა ის, ბოლო წლების განმავლობაში?

– არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტი ბავშვის უფლებათა კონვენცია, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტია. კონვენცია ადგენს იმ ძირითად პრინციპებსა და სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა, არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ოთხი ძირითადი, დამატებითი დოკუმენტი:

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ („რიადის პრინციპები“); გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ („პეკინის წესები“); გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“) და სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ („ვენის პრინციპები“).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოთხი დოკუმენტის სტატუსი განსხვავდება ბავშვის უფლებათა კონვენციის სტატუსისგან – ეს დოკუმენტები საერთაშორისო ხელშეკრულებები არ გახლავთ, რომელთა რატიფიცირებასაც ახდენენ სახელმწიფოები და თანხმდებიან, იკისრონ ვალდებულებები. ეს უფრო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მინიმალური სტანდარტებია, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკუთარი სისტემების შეცვლისა თუ ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას.

2020 წელს, როცა საქართველოში ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, ავტორებმა სცადეს, რომ კომპლექსურად გაეთვალისწინებინათ ზემოჩამოთვლილი პრინციპები და მოექციათ კანონის ფორმატში, რაც მეტ-ნაკლებად მოხერხდა, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთია კანონი და მეორე – მისი აღსრულება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, კვლავაც სერიოზული ხარვეზები გვაქვს.

– რა ხარვეზებს გულისხმობთ? თქვენი აზრით, კანონის რომელი ნაწილია შესაცვლელი ან დასახვეწი?

– ცალსახად ამის თქმა რთულია, თუმცა აქაც უნდა გამოვყოთ რამდენიმე პრინციპი: ქართული კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის, არასრულწლოვანია და ჩვენი კანონმდებლობაც ითვალისწინებს არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს ნებისმიერი ასაკის არასრულწლოვანს. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის არასრულწლოვანს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში იყო 16 წლის, ნაკლები ასაკის შემთხვევაში კი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, აქ პასუხისმგებლობის ასაკად დადგენილია 14 წელი.

ავიღოთ სისხლის სამართლის საქმეები, სადაც ფიგურანტები არასრულწლოვნები არიან. შევთანხმდეთ იმაზეც, რომ როგორც კვლევებით დადგენილია და

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ უნდა აღიკვეთოს 14 წლამდე მოზარდების კრიმინალი და რა პრობლემებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

მე-7 გვერდიდან

პრაქტიკაც ამას გვიჩვენებს, ბოლო წლებში ბრალდებულ არასრულწლოვანთა 70%-ზე მეტს, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, დანარჩენი დანაშაულების პროცენტული ხვედრითი წილი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დადანაშაულებზე მოდის. ცხადია, მთელი საქართველოს მასშტაბით, არასრულწლოვანთა დანაშაულის ყველაზე დიდი ოდენობა თბილისზე მოდის. სამართალდამცავთა მთავარი თავსატეხი იყო და არის ე.წ. არასრულწლოვანთა ბანდები – 9-13 წლის ბავშვები, რომლებიც ჯგუფურად ტეხავენ სუპერმარკეტებს, ოფისებს და სხვა დაწესებულებებს, იპარავენ საკვებს, ფულს, ალკოჰოლურ სასმელებს, ძვირფასეულობას, თუმცა ისინი კანონის მიღმა არიან, რადგან არ მიუღწევიათ სრულწლოვანებისათვის. რა უნდა ქნას სახელმწიფომ? პასუხი ერთია – პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ეს თემა საქართველოში საკმაოდ აქტუალური და მტკივნეულია.

დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია. კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზად ოჯახურ მდგომარეობას მიიჩნევს. მათი აზრით, დამნაშავე მოზარდების უმეტესობას მშობლების ყურადღება აკლია. ამბობენ, რომ ის ბავშვები, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ არიან, ხანდახან არასწორ გარემოში ხვდებიან და „გზას სცდებიან“. რისკის ჯგუფად მიაჩნიათ, ასევე, ქუჩაში მცხოვრები, უსახლკარო ბავშვები. ასახელებენ, აგრეთვე, ბავშვობაში მიღებულ ფსიქოლოგიურ ტრავმებს, გადატანილ ძალადობას, კრიმინალური ავტორიტეტებისთვის მიბაძვას და ა.შ. რა უნდა დაუპირისპიროს ამას სახელმწიფო? – პრაქტიკულად, არაფერი.

საერთოდ, ცალკე თემაა კიდევ არასრულწლოვანთა ქორწინება, უმეტესად – არაქართველ მოსახლეობაში. ხშირია შემთხვევა, როცა ადრეულ ქორწინებას ხელს უწყობენ მშობლები, ზემოქმედებას ახდენენ შვილებზე, ან მონაწილეობენ ოჯახში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაში. სახელმწიფოს რეაგირება ძირითადად არის „პოსტ ფაქტუმ“.

შეიძლება, ბევრი ხარვეზი მოიძებნოს, მაგრამ ჩემთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა სოციალურ სამსახურია, რომელიც სახელმწიფო სსიპ-ია. ეს სამსახური დღეს ერთადერთია, რომელიც კანონით, საკუთარ თავზე იღებს მართლმსაჯულების განხორციელების პერიოდში არასრულწლოვნის უფლებების დაცვას და ზრუნვას მისი საუკეთესო ინტერესებით გათვალისწინებით. როდესაც, მაგალითად, საქმე ეხება მშობლების განქორწინებას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, სამართალწარმოების პერიოდში, ორივე მშობლის უფლება შეჩერებულია და ბავშვის ინტერესებზე ზრუნვას სწორედ ზემოაღნიშნული სამსახური ახორციელებს. ვინ მუშაობენ იქ? – სოციალური მუშაკები, რომელთა ხელფასებიც მიზერულია და რომლებსაც, ყოველდღიურად, რამდენიმე ათეული ბავშვის საქმე შეიძლება დაეწეროთ, რომელთა სათანადო განათლება და კვალიფიკაცია ხშირად ეჭვქვეშ დგება და რომლებიც ხშირად მხოლოდ ბავშვის სახელსა და გვარს ცვლიან გაცემულ დასკვნებში, ტექსტი კი იგივეა. ჩემს კოლეგებს ხშირად უხდებათ არაადამიანური ძალისხმევა, რათა სასამართლო დაარწმუნონ იმის საწინააღმდეგო რეალობაში, რაც სოცმუშაკის დასკვნაშია ასახული. არ ხდება არათუ საზოგადოების, არამედ, არც იურიდიული წრის, თუნდაც, ყოველწლიური ინფორმირება, რა იგეგმება და რა ნაბიჯები იდგმება ამ მიმართულებთ, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უკეთესი გამოსავალი აქვს სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს – პროკურატურას. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 21 წლამდე არასრულწლოვანისთვის კიდევ ერთი შანსია, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყოს. 2016 წლიდან, რაც ახალი არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შევიდა ძალაში, განრიდება კანონით გახდა პრიორიტეტული. აქვე აღსანიშნავია, რომ გაიზარდა მოსამართლის უფლებამოსილებაც – უფლება აქვს, თავისი ინიციატივითაც დაუბრუნოს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე განრიდებაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ძალიან კარგი მექანიზმია და შეიძლება, პრევენციულიც დავარქვათ, თუმცა რეალურად, პრევენციასთან ნაკლებად აქვს საერთო.

– კანონის თანახმად, გამოდის თუ არა, რომ დაზარალებულის უფლებები ნაწილობრივ დარღვეულია?

– საერთოდ, საქართველოში დაზარალებულის უფლებები საკმაოდ შეზღუდულია და ეს არ ეხება მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს, დაზარალებული პროცესის მონაწილე მხარედ დღემდე არაა აღიარებული. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებით, დაზარალებულს დაუბრუნდა გარკვეული უფლებები, მაგრამ ძირითადად, მხოლოდ მოწმის უფლება-მოვალეობებით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი, რომლითაც მოქალაქე ითხოვდა არაკონსტიტუციურად ყოფილიყო მიჩნეული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც გამორიცხავდა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაზარალებულის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანას, აგრეთვე, ახლადგამოვლენილი გარემოების გამო, განაჩენის გადასინჯვაზე შუამდგომლობის დაყენებას. დაზარალებულთა უფლებები, ცხადია, უფრო მეტად დარღვეულია 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, სადაც არ დგება სასამართლო განაჩენი და შესაბამისად, დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, სამოქალაქო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

– თუ გქონიათ გამოცდილება, რამდენად სწორად და სწრაფად ხდება კანონის აღსრულება ასეთი ფაქტის დადგომის დროს?

– ეს დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, მათ შორის, რამდენად სწორად და კვალიფიციურად მოხდება გამოძიების წარმართვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. რამდენად სწრაფად მოახერხებს საგამოძიებო ორგანო შესაბამისი კომპეტენციის ფსიქოლოგების, სოცმუშაკების ჩართვას საქმეში. გამოცდილება პოზიტიურიც მაქვს და ნეგატიურიც. სამწუხაროდ, ჩვენს სახელმწიფოში ყველაფერი მაინც ინდივიდებზეა დამოკიდებული და არა – ინსტიტუციების სიძლიერეზე.

– რა პროცედურები ტარდება მას შემდეგ, როდესაც არასრულწლოვანი დამნაშავის იდენტიფიცირება ხდება?

– კანონის თანახმად, არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს, თუ შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. არასრულწლოვნის დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც. რადგან არასრულწლოვნის გამოკითხვაზე ფსიქოლოგის დასწრების საკითხს გამომძიებელი წყვეტს, აუცილებლად გასათვალისწინებელია ფსიქოლოგთან დაკავშირებით გავრცელებული ორი არასწორი მოლოდინი: პირველი – ფსიქოლოგი სწრაფად და აუცილებლად მოიპოვებს ბავშვის ნდობას და მიიღებს ინფორმაციას და მეორე – ფსიქოლოგი გააკეთებს დასკვნას, სიმართლეს ამბობს თუ არა ბავშვი. ეს ასე არაა. ფსიქოლოგიაში ისევე, როგორც სხვა პროფესიებში, მრავალი მიმართულება არსებობს, ამიტომ ნებისმიერი ფსიქოლოგი არ შეიძლება იყოს სპეციალიზებული ბავშვის განვითარებისა და მით უფრო, გამოკითხვის საკითხებში. ნებისმიერ სპეციალიზებულ ფსიქოლოგსაც კი არ შეუძლია ყველა ბავშვთან დაამყაროს სანდო კომუნიკაცია და მიიღოს ინფორმაცია. ამისთვის აუცილებელია სპეციალიზებული ფსიქოლოგი, რომელიც ბავშვს ეხმარება: უცხო გარემოსთან ადაპტაციაში; სტრესისა და შფოთვის შემცირებაში; ახდენს მის ინფორმირებას პროცესის მიზნებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით; განუმარტავს დასმული შეკითხვის მიზანს; ახდენს შეკითხვების ფორმულირებას მისთვის გასაგები ენით.

თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას, შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდი ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ, რომ თუ ჩვენების მიცემაზე უარს იტყვის ან/და ცრუ ჩვენებას მისცემს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. არ შეიძლება, არასრულწლოვანი დაიკითხოს 22.00-დან 08:00 საათამდე. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით, არანაკლებ, ყოველ ოთხ საათში ერთხელ, აგრეთვე, საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

– რა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი და საფრთხილო?

– ყველაზე მნიშვნელოვანი და საფრთხილო ბავშვთან სწორი მიდგომა, მისი ნდობის მოპოვებაა, რადგან შესაბამისად, ეს სწორი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებას იძლევა.

სამართალი

№3 1 თებერვალი 2023 წ

ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობიდან შვილიშვილის მიერ ბებიის მკვლელობის შეკვეთამდე

ბოლო წლების გახმაურებული შეკვეთილი მკვლელობების სკანდალური ანატომია

ბათო ჯაფარიძე

დაქირავებული მკვლელის ანუ „ქილერის“ არსებობა ფართო საზოგადოებამ დასავლური „თრილერების“ შემოსვლის შემდეგ გაიგო. მანამდე კი ყურმოკვრით იცოდნენ, რომ ასეთი ადამიანები არსებობდნენ, თუმცა მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, მოსახლეობას მყარად სჯეროდა, რომ ყველა „ქილერს“ იმჟამინდელი „კა-გე-ბე“ აკონტროლებდა. მართლაც, ცივი ომის დროს, დასავლეთის მხრიდან არაერთხელ გაჟღერებულა ბრალდება, რომ საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურმა ესა თუ ის ადამიანი მოკლა, მაგრამ მტკიცებულება თითქმის არასდროს იყო.

90-იანების შემდეგ კი ცნება – „დაქირავებული მკვლელი“ მყარად ჩამოყალიბდა და რაც მთავარია, ამ პროფესიის ადამიანები ძალიან მომრავლდნენ. მეტიც, მათი არათუ არსებობის შესახებ იცოდნენ ფართო მასებმა, არამედ, იწერებოდა სტატიები, იბეჭდებოდა სურათები ანუ ყველამ იცოდა, ვინ იყო „ქილერი“. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მკვლელობა 1994 წლის 5 აპრილს მოხდა, როცა მოსკოვში, ოთარი კვანტრიშვილი მოკლეს. კვანტრიშვილი ზოგს კრიმინალურ ავტორიტეტად მიაჩნდა, ზოგს – მეცენატად და ბიზნესმენად, რეალურად კი ის რუსულ პოლიტიკაში აპირებდა მისვლას, მაგრამ არ დასცალდა. კვანტრიშვილის მკვლელობისთვის ვინმე ალექსეი შერსტობიტოვი (მეტსახელად, „ლიოშა-სალდატ“) დააკავეს, თუმცა მხოლოდ 2006 წელს და კვანტრიშვილის გარდა, მან კიდევ 12 ადამიანის მკვლელობა აღიარა. გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო, შერსტობიტოვს 23 წლით ციხე მისცეს და არა – სამუდამო პატიმრობა. კულუარებში იმასაც ამბობენ, რამდენიმე თვეა, „ლიოშა-სალდატი“ უკრაინის ფრონტზე იბრძვის და სნაიპერის შაშხანით არაერთი უკრაინელი მოკლაო.

სხვათა შორის, შერსტობიტოვი ერთ-ერთ ყველაზე პროფესიონალ „ქილერად“ ითვლება, რაც თუნდაც კვანტრიშვილის მაგალითზეც გამოჩნდა. მან ოთარს ორი ტყვია მოარტყა და პირველი მაშინ, როცა ის ფეხზე იდგა, მეორე – როცა მიწაზე ვარდებოდა ანუ ჰაერში და ორივე ტყვია თავის არეში. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ კვანტრიშვილზე ამბობდნენ, აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თემაში და რომ დასცლოდა, ეგებ, ახლა აფხაზეთი ისევ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ყოფილიყოო. ოფიციალურად, რუსულმა გამოძიებამ, კვანტრიშვილის საქმეში ჩაწერა, რომ ის ჩეჩნურ და სლავურ დაპირისპირებას შეეწირა, რაც სიმართლეს არ ჰგავს, თუნდაც იმიტომ, რომ იმ დროისთვის, კვანტრიშვილი კრიმინალურ გარჩევებში ნაკლებად მონაწილეობდა და მთლიანად პოლიტიკურ ამბებსა და ბიზნესზე იყო გადართული.

ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევით, რომ გასულ კვირას, სამართალდამცავებმა 26 წლის ახალგაზრდა დააკავეს, რომელიც საკუთარი ბებიის, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და 66%-იანი წლის მფლობელის, ვალენტინა საყვარელიძის მკვლელობას გეგმავდა. მან „ქილერს“ მიაწოდა ბებიის სურათი, უთხრა მისამართი, წაიყვანა, ანახა და რაც მთავარია, ჩანაწერში ისმის, როგორ ურჩევს დროს ანუ რომელ საათზე იქნება უფრო კარგი ბებიის მოკვლა. შვილიშვილი დაქირავებულ მკვლელს იმასაც ეუბნება, მაყუჩიან იარაღს ხმა მაინც აქვს და ეგებ, გაგუდო, ნაკლები ყურადღება რომ მიიქციოსო და... ჩანაწერში ისმის, რომ თურმე, ბებო ფრთხილია, უცხო კაცს კარს არ გაუღებს, ამიტომ შვილიშვილი დააკაკუნებს და შემდეგ „ქილერი“ თავის საქმეს იზამს. იმასაც გვეუბნებიან, რომ შვილიშვილი „ქილერს“ მთლიანობაში, 150 ათასი დოლარის გადახდას დაპირდა, ამ თანხის თითქმის ნახევარი – 70 ათასი წინასწარ გადასცა და თანხა... ბებიას გამოართვა. უკვე გაცხადდა ისიც, რომ ქალბატონ ვალენტინას საკმაოდ კარგი შემოსავალი და უძრავი ქონება აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, ცოტა ხნის წინ გაასხვისა და სავარაუდოდ, სწორედ ეს ფული მისცა შვილიშვილს... ბიზნესის დასაწყებად. დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და მოდით, პირდაპირ ვთქვათ, როცა ოჯახის წევრს სასიკვდილოდ იმეტებ, სამუდამო პატიმრობა ალალი და უსაყვედუროა.

ერთი შეხედვით, საქართველოში დაქირავებული მკვლელის თემა თითქოს 90-იანებს ჩაბარდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. არცთუ იშვიათად გვესმის ხოლმე ამა თუ იმ ბიზნესმენის მკვლელობის შესახებ, მკვლელს კი ვერ აკავებენ. ზოგადად, სამართალდამცავებისთვის ეს ყველაზე რთული საქმეა, რადგან არ ჩანს „ქილერი“ და არ ჩანს დამკვეთი. ძალოვნებს იშვიათად უმართლებთ ხოლმე, როცა ისინი „ქილერის“ დაკაებას ახერხებენ, თუმცა წარმატების გარანტია არც ესაა – დაკავებული „ქილერები“ დამკვეთს იშვიათად ასახელებენ და ხშირად მათი ვინაობა არც იციან – ისინი ინტერნეტით იღებენ შეკვეთებს და გადარიცხვით იღებენ ფულს ანუ რეალურად, მკვლელი და შემკვეთი ერთმანეთს სახეზეც კი არ იცნობენ. მაგალითისთვის, დღემდე გაუხსნელია 2015 წლის 28 მარტს მოკლული ბიზნესმენის, ბესო ხარძიანის საქმე. მართალია, შსს-მ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მკვლელობა უკრაინის მოქალაქემ, 31 წლის ოლექსანდრ დამეტოვმა და რუსეთის მოქალაქემ, 43 წლის ოლეგ დოევმა შეასრულეს, მაგრამ მინიშნებითაც კი არაფერი თქმულა დამკვეთზე და მხოლოდ ოჯახის წევრთა ეჭვები ძიებისთვის საკმარისი არ არის.

გასული წლის 22 ივნისს, ბაგებში მოკლეს ცნობილი ბიზნესმენი ლევან კაჭარავა, მეტსახელად, „ტილიკა“, რომელიც 90-იან წლებში, საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი პიროვნება გახლდათ და ამბობენ, რომ კვალიც სწორედ იქიდან მოდის, თუმცა სამართალდამცავებმა ვერც „ქილერს“ მიაგნეს, ვერც დამკვეთს და ეს იმის მიუხედავად, რომ კაჭარავას უახლოესი მეგობარი გიორგი რამიშვილი, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიზნესმენი და უმდიდრესი ადამიანია, არც ფინანსურ და არც ადამიანურ რესურსს არ დაიშურებდა საქმის გასახსნელად, კულუარულადაც დაძებნიდა, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, 2009 წელს დაიწყო და 2010 წელს, დაკავებებით დასრულდა. მაშინ ამ საქმეზე, ლამის, მთელი საქართველო საუბრობდა, სამართალდამცავებმა გაავრცელეს ვიდეოჩანაწერი, სადაც მკვლელობის შემკვეთ ქალბატონს სახე არ ჰქონდა დაფარული და ის „ქილერს“ ეუბნებოდა, რომ სანამ მსხვერპლს ტყვიას დააჭედებდა, მისთვის თვალებში ჩახედვა სურდა. გაგეცინებათ და, დღეს ეს ქალი თავისუფალია. საქმე კი „ქილერმა“ გახსნა, რომელიც ძალოვანი უწყების ინფორმატორი იყო ანუ ზუსტად ისე, როგორც გასულ კვირას მომხდარ შემთხვევაში.

2009 წელს, თბილისში მცხოვრები ქალბატონი და საბერძნეთში მცხოვრები საქართველოს ყოფილი მოქალაქე „ქილერს“ ეძებდნენ. ეძებდნენ, შესაძლოა, ამ შემთხვევაში ცოტა უხეში სიტყვა იყოს, მაგრამ სწორედ რომ ეძებდნენ, რადგან ამბავი იმდენად გახმაურდა, რომ შსს-ს ყურამდე მივიდა და გამზადებული „ქილერიც“ გამოცხადდა. მას სამი ადამიანის ფოტო გადასცეს, რომლებიც არა მარტო უნდა მოეკლა, არამედ, მანამდე უნდა დაეკავებინა, მიყრუებულ ადგილას წაეყვანა, მერე იმ ადგილზე ის ქალი მივიდოდა, თვალებში ჩახედავდა მსხვერპლებს და მერე „ქილერი“ დახოცავდა. მოკლედ, სიუჟეტი ისეთი იყო, ცალკე – ფრენსის ფორდ კოპოლას რომ შეშურდებოდა და ცალკე – ალ კაპონეს. ძალოვნებმა მხოლოდ ის ვერ გაიგეს, რატომ სურდათ ამ სამეულის მოკვლა. სამიდან ორი საკმაოდ შეძლებული პირი იყო, ცოტა კრიმინალური წარსულით, ცოტა ძველბიჭობით, „ბაბულიკები“, მესამე კი... ღარიბ-ღატაკი მძღოლი, რომელიც მუდმივად სამსახურს ეძებდა. სამართალდამცავებმა სწორად გათვალეს, ზუსტად იცოდნენ, რომ ის ორი არაფერს იტყოდა, ამიტომ მძღოლი დააკავეს, წინ სურათი დაუდეს და ჰკითხეს – რატომ გადასცეს „ქილერს“ მისი სურათი და რატომ უნდა მოეკლათ? მძღოლმა თავიდან ყველაფერი გაიკვირვა, მაგრამ როგორც კი ერთი წამოარტყეს, პასტა და ფურცელი მოითხოვა და დილამდე წერდა.

როგორც გაირკვა, ქალს და მამაკაცს უცხოეთიდან საქართველოში ნარკოტიკის შემოტანის სქემა ჰქონდათ დალაგებული, ეს უბედური კი მძღოლად ჰყავდათ და რეალურად მან ბევრი არაფერი იცოდა. უბრალოდ, საჭეს ატრიალებდა, მერე კი, როცა ჯამაგირის მომატება მოითხოვა, გამოაგდეს და დავალიანება არ მისცეს. მანაც თავის უბნელ „ბაბულიკებს“ მიაკითხა, რომლებიც მაშინვე მიხვდნენ, რომ მანქანებით ნარკოტიკი გადაჰქონდათ და საკმაოდ სოლიდური თანხის ახევა მოინდომეს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ნარკოდილერებს თანხა გადაეხადათ, ფულის მოსაგროვებლად დრო ითხოვეს და „ქილერის“ ძებნა დაიწყეს. გახმაურებული დაკავებები 2010 წელს განხორციელდა და მაშინ მართლა მთელი საქართველო ამ თემაზე საუბრობდა.

და ერთიც – უკრაინაში ომის დაწყებამდე, პრაქტიკულად, ერთი თვით ადრე, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც კარგად ჩანს, როგორ ისვრის მამაკაცი ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს მეორე მამაკაცის მიმართულებით, როგორ კლავს ადგილზე და როგორ მშვიდად ტოვებს იქაურობას. ეს იყო ტიპიური შეკვეთილი მკვლელობა და თავდამსხმელი იმდენად თავხედი გახლდათ, რომ არც ნიღაბი ეკეთა და არც სათვალთვალო კამერებს დაემალა. მალე გაირკვა, რომ მკვლელი საქართველოს მოქალაქე გახლდათ და მასზე ძებნა გამოცხადდა, თუმცა ათ წელზე მეტია, ის საქართველოში არ გამოჩენილა და როგორც ამბობენ, მკვლელობიდან რამდენიმე საათში, უკრაინა დატოვა. ისიც ითქვა, ეს ბიჭი მკვლელობაში 20-30 ათას დოლარზე მეტს არ იღებს და კლიენტურაც ბევრი ჰყავსო (?!).

საბურთალოზე ახალგაზრდა ქალის გვამი იპოვეს

როგორ იძია შური ყოფილმა საქმრომ მოღალატე შეყვარებულზე

ბათო ჯაფარიძე

14 იანვარს, თურქეთის ქალაქ ტრაბზონში, ე.წ. კანონიერი ქურდი რევაზ ლორთქიფანიძე, იგივე, „რეზო ტბილისკი“ მოკლეს. ლორთქიფანიძის სახელი ფართო საზოგადოებამ მაშინ გაიგო, როცა ხელისუფლებაში მოსასვლელად, „ქართული ოცნება“ ემზადებოდა. პარიზში, ლორთქიფანიძეს მაშინდელი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, გოგა ხაინდრავა სტუმრობდა და არც დაუმალავს, რომ ლორთქიფანიძე მისი ბავშვობის მეგობარი იყო. ზოგადად, „რეზო ტბილისკის“ ყველა დიდ პატივს სცემდა, რადგან ბოლომდე ერთგულად იცავდა ძველ, ქურდულ ტრადიციებს, არასდროს დადიოდა დაცვასთან ერთად და მასთან კონფლიქტი და პრეტენზია არავის ჰქონდა. შესაბამისად, 64 წლის ლორთქიფანიძის მკვლელობა მეხის გავარდნას ჰგავდა – გაუგებარი იყო კრიმინალური სამყაროსთვის, მოულოდნელი იყო რეზოს ახლობლებისთვის და ზოგადად, ახსნა არავის ჰქონდა. თურქმა სამართალდამცავებმა აშკარად ივარგეს – მკვლელები იმავე დღეს დააკავეს – ნაბო და რედუან მუსტაფაევები, რომლებიც სომხეთში დაიბადნენ, თუმცა რუსეთის მოქალაქეები იყვნენ. წარმოშობით იეზიდები, თურქეთში, ბულგარეთიდან შევიდნენ და სწორედ მათი დაკავების შემდეგ გაირკვა – რეზოს მოკვლა არავის სურდა, სამიზნე კიდევ ერთი, ე.წ. კანონიერი ქურდი, როინ უგლავა იყო. ბედის ირონიით, უგლავა და ლორთქიფანიძე თურქეთში, ერთ ქალაქში, ერთ კორპუსში, ერთ სადარბაზოში, სხვადასხვა სართულზე ცხოვრობდნენ. იმ საბედისწერო დღეს, ისინი ეზოდან ერთად, ლორთქიფანიძის მანქანით გავიდნენ, საჭესთან უგლავა დაჯდა, ორ საათში კი ლორთქიფანიძე მარტო დაბრუნდა, შესაბამისად, საჭესაც ის უჯდა და სწორედ ამ დროს გავარდა „ქილერის“ პისტოლეტიც. ლორთქიფანიძეს მკვლელმა რამდენჯერმე ესროლა...

სხვათა შორის, ლორთქიფანიძე სამშობლოში ჩამოასვენეს და მშობლიურ ქალაქში დაკრძალეს. ოპოზიცია კი შეეცადა, ყველაფერ ამისთვის პოლიტიკური ელფერი მიეცა, აქაოდა, როგორ შეიძლება „კანონიერი ქურდის“ შემოშვებაო, მაგრამ ადამიანი მშობლიურ მიწას მიაბარეს, ოჯახის წევრებს, ნათესავ-მეგობრებს მასთან გამომშვიდობების შესაძლებლობა მისცეს და ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია.

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ყოფილა შემთხვევა, როცა „ქილერს“ მსხვერპლი არევია და მეტიც, როცა შემთხვევითი მოწმეც მიუყოლებიათ მსხვერპლისთვის. სწორედ ასეთ ისტორიას გიამბობთ ახლა, რომლის გახსნაზეც იმ დროისთვის საუკეთესო გამომძიებლები მუშაობდნენ.

საბურთალოს რაიონი ახალი გაშენებული იყო, როცა ღამით, მეზობელმა ეზოში უცხო გოგონას გვამი იპოვა. უცხო იმიტომ, რომ მეზობლები ერთმანეთს კარგად არ იცნობდნენ, თორემ გოგონაც იმავე კორპუსის მაცხოვრებელი გახლდათ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა გოგონას მკვლელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და საქმე მაშინვე კონტროლზე აიყვანეს.

„ადგილზე მისულებს საზარელი სურათი დაგვხვდა. გოგონა თავისივე თავშალით იყო გაგუდული, რომელიც სავარაუდოდ, კისერზე ეკეთა. ის ძაღლს ასეირნებდა და მკვლელიც სწორედ ამ დროს დაესხა. ძაღლი დიდი ჯიშის არ იყო, შესაბამისად, თავდამსხმელს ვერ დააფრთხობდა, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გაგვაოცა, რომ გოგოს სხეულზე, ასევე, ახალგაზრდა ქალბატონი იყო დამხობილი და მოთქმით გაჰკიოდა, შენს ადგილზე მე უნდა ვიყოო“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ახალგაზრდა ქალი იმავე კორპუსის მაცხოვრებელი და მოკლულის მეგობარი აღმოჩნდა. როგორც იქნა, გამომძიებლებმა მისი დაწყნარება შეძლეს, აუხსნეს, რომ მისი ჩვენება მკვლელის ცხელ კვალზე დაკავებას შეუწყობდა ხელს და იმანაც დაიწყო:

„ძაღლი ჩემია, თავშალიც ჩემია, მოკლე პალტო რომ აცვია, იასამნისფერი, ისიც ჩემია. შეუძლოდ ვიყავი და ვთხოვე, ეგებ, ძაღლი შენ გაასეირნო-მეთქი. სიხარულით დამთანხმდა და მითხრა, შენი პალტო მომწონს, ჩავიცვამო და რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. თავშალიც მოიხვია კისერზე და წავიდა. მერე მეზობლის ყვირილი გავიგე. უბანში ბნელა, დარწმუნებული ვარ, თავდამსხმელს მე ვეგონე და იმიტომ მოკლა ეს გოგო, თორემ ვინ რას ერჩოდა“, – მოთქვამდა ახალგაზრდა ქალი, მაგრამ ის კი აღარ უთქვამს, თუ გარდაცვლის არ ჰყავდა მტრები, ვინ ემტერებოდა მას და ვის შეიძლებოდა სასიკვდილოდ გაემეტებინა.

როცა გამომძიებლებმა ეს ჰკითხეს, ქალი ჯერ შეკრთა, მერე მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ მკვლელს აერია და ჩემს ნაცვლად, მეგობარი გაგუდაო.

ცხელ კვალზე ეჭვმიტანილის დაკავება ვერ მოხერხდა. ან როგორ უნდა დაეკავეინათ, მისი აღწერილობა არ ჰქონდათ, ისიც კი არ იცოდნენ, ქალი იყო თუ მამაკაცი, მაგრამ ექსპერტი შეეშველა, მამაკაცი იყო და თან საკმაოდ მაღალი, რადგან თავშლის ყურები ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ იყო აქაჩული ანუ რომ მოუჭირა, ზემოთ აქაჩა, დაბალი რომ ყოფილიყო, ქვემოთ ჩამოქაჩავდა და ყელზე წითელი ზოლიც სხვანაირი იქნებოდაო. სიმაღლე ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი კი იყო, ახლო-მახლო სამი მაღალი პირიც დააკავეს, თუმცა მალევე გაუშვეს და სწორადაც მოიქცნენ – მეორე დღეს ექსპერტმა ჩვენება შეცვალა. როგორც მან ახსნა, სხეულის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გოგოს მუხლებზე ჩალურჯებები ჰქონდა ანუ მკვლელმა მსხვერპლი დაბლა დააგდო და ისე გუდავდა, შესაბამისად, ეს შეიძლებოდა დაბალ ადამიანსაც გაკეთებინა, თუმცა თავშალის მოჭერის სიძლიერის მიხედვით, ექსპერტი დაბეჯითებით ამტკიცებდა, მკვლელი მამაკაცია, ან ძალოსანი და ბირთვის მტყორცნელი ქალი, სხვანაირად, ქალს ასეთი ძალა არ ექნებოდაო.

„იმის გამო, რაც დავინახეთ, მივხვდით, რომ ყურადღება სწორედ იმ ქალისთვის უნდა მიგვექცია, რომელიც სიკვდილს იღბლიანი შემთხვევის წყალობით გადაურჩა. მოვიკითხეთ და მას ჰყავდა საქმრო, საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდა და გათხოვებასაც მალე აპირებდა, თუმცა მისი ძველი მისამართი მოვიკითხეთ და გავარკვიეთ, რომ მანამდეც ჰყავდა საქმრო, რომელიც ჯარში გაიწვიეს, იქიდან კი ციხეში მოხვდა, რადგან იჩხუბა და ვიღაცას ფეხი მოტეხა. მეზობლებმა არ იცოდნენ, გამოვიდა თუ არა ციხიდან ის კაცი, თუმცა ამის დადგენა ჩვენთვის პრობლემა არ იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ძალოვნებმა გაარკვიეს, რომ ქალის საქმრო ციხიდან გამოვიდა, საქართველოშიც ჩამოვიდა, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა, რადგან ძველ მისამართზე არ გამოჩენილა, ახალი რეგისტრაციის ადგილი არ ჰქონდა. როცა გამომძიებლებმა ქალს ძველ საქმროზე ჩამოუგდეს სიტყვა, აშკარად დაიძაბა, მაგრამ თავი მალე მოთოკა და მშვიდად თქვა, მას შემდეგ, რაც დაიჭირეს, არ მინახავსო. კაცზე ძებნა გამოცხადდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდამცავებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, სად შეიძლება ყოფილიყო ეჭვმიტანილი, ძებნა გართულდა. მოიკითხეს ნათესავები, პრაქტიკულად, არავინ ჰყავდა – მშობლები გარდაცვლილი, და გათხოვდა და გათხოვებიდან მალევე, ქმართან ერთად, ავტოავარიაში დაიღუპა. რამდენიმე ნათესავის ბინას ყოველი შემთხვევისთვის თვალთვალი დაუწყეს, მაგრამ ადგილობრივი აგენტურა ირწმუნებოდა, უცხო არავის გვინახავსო.

„ქალი, რომლის მოკვლაც სავარაუდოდ სცადეს, სახლიდან აღარ გამოდიოდა, სამსახურიდან შვებულება აიღო ანუ ზუსტად იცოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა. სხვა გზა არ იყო, მასთან მივედით და შევთავაზეთ, რომ რამდენიმე დღე, მის ძაღლს ჩვენი თანამშრომელი ქალი გაასეირნებდა, ოღონდ მისი ტანსაცმლით, რაზეც ჩვენდა გასაოცრად, უარი მივიღეთ. ისე ჩანდა, რომ არ სურდა თუ არ აწყობდა ეჭვმიტანილი დაგვეკავებინა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა ხერხს მიმართეს, მეზობელს სთხოვეს, ბინას თქვენს სახლში დავიდებთ და ჩვენი თანამშრომელი ქალი თქვენი ბინიდან გავა ხოლმეო. ამისთვის, იშოვეს შესაბამისი ფერის პალტო, იგივე ჯიშის ძაღლი და ათამდე თანამშრომელი სპეციალურად შერჩეული საფარიდან თვალს ადევნებდა, როგორ ასეირნებდა მათი კოლეგა ძაღლს. სამი დღე არაფერი მომხდარა, მეოთხე დღეს კი ღამის ჩრდილს მამაკაცის სილუეტი გამოეყო და ქალისკენ დაიძრა. ის ოპერმუშაკ ქალს ზურგიდან ფრთხილად მიუახლოვდა და როცა მხებზე ორივე ხელი დაადო, რამდენიმე სამართალდამცავის ერთდროული შეძახილი გაისმა – „ხელები მაღლა!“

მამაკაცი ადგილზე დააკავეს, რომელიც მთავარი ეჭვმიტანილი აღმოჩნდა.

„ეს გოგო სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა. ჰო, სიცოცხლეზე მეტად და როცა ჯარში წავედი, ჩვენი საოჯახო რელიქვია, ბრილიანტის ყელსაბამი, ბეჭედი და საყურე ვაჩუქე, ჩვენი სიყვარულის ნიშნად. მერე ისე მოხდა, რომ ციხეში წავედი, იქიდან გამოსულს კი ამბავი დამახვედრეს, შენი საცოლე თხოვდებაო. თითქოს შეგუებული ვიყავი ამ ამბავს, თუმცა ნივთების უკან დაბრუნება მოვითხოვე, ამ უნამუსომ კი მითხრა, ისინი მაჩუქე და ჩემიაო. ჯერ ხუმრობა მეგონა, მერე მოკვლით დავემუქრე და იმ დღეს, სხვა გოგონა რომ მოვკალი, თავი ვერ შევიკავე, ისე ვიყავი გაცეცხლებული. მეგონა, ვერ მიხვდებოდით, რომ მსხვერპლი ამერია“, – განაცხადა კაცმა.

ქალმა ეს მონაყოლი დაადასტურა და ჯიუტად გაიმეორა, სამკაული მაჩუქა და ჩემიაო. რეალურად, გამოძიებას სამკაული ნაკლებად აინტერესებდა, ვერც დაბრუნების საფუძველი იპოვეს და მოხდა ისე, რომ მამაკაცი ბრილიანტების გარეშე, თუმცა ახალი, 12-წლიანი სასჯელით დარჩა.

ბათო ჯაფარიძე

არაერთხელ ყოფილა, ადამიანები ახლობლების სიკვდილში ექიმებს ადანაშაულებენ. ზოგს ჰგონია, რომ სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, ზოგი ფიქრობს, რომ ექიმს კვალიფიკაცია აკლდა, ზოგს კი მიაჩნია, რომ საავადმყოფოს შესაბამისი აპარატურა არ ჰქონდა და სხვა საავადმყოფოში პაციენტს აუცილებლად გადაარჩენდნენ. ამის შემდეგ იწყება პროცესი, რომელიც წლობით გრძელდება. აგერ, გასულ კვირას, სამუშაო ლიცენზია 11 ექიმს ჩამოართვეს, რაც საქართველოს პირობებში, ცოტა ნამდვილად არაა. გასულ კვირას ისიც გავიგეთ, რომ სამი თვის წინ გაკეთებული ოპერაციის დროს, ვიღაცის მუცელში მაკრატელი ჩარჩათ და კლინიკამ თავი იმართლა, ხომ გადარჩა და არაფერი დაემართაო...

სიკვდილის გათამაშება 20 ათასის სანაცვლოდ

უცნაური კრიმინალი, რომელსაც არც დაზარებული ჰყავდა და არც – დამნაშავე

80-იანი წლების გარიჟრაჟზე, ექიმის პროფესია არა მარტო პრესტიჟული, არამედ, თითქოს აუცილებელიც იყო. შეძლებული ოჯახები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათ შვილებს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები დარქმეოდათ და ცოდვა გამხელილი სჯობს – ეს ამბავი, ძირითადად, დიდი თანხით გამოდიოდა. ძალიან, ძალიან ნიჭიერი უნდა ყოფილიყავი, რომ საკუთარი ცოდნით „გაგექაჩა“ და სანუკვარი სასწავლებლის სტუდენტი დაგრქმეოდა. მაშინ საბჭოთა სინამდვილისთვის უცხო იყო ორგანოების გადანერგვა და არავინ ამოწმებდა, საავადმყოფოში გარდაცვლილ ადამიანს ჰქონდა თუ არა ადგილზე თირკმელი ან ღვიძლი – ეს მაშინ არავის სჭირდებოდა.

„ზაფხულის ცხელ საღამოს სამსახურში მხოლოდ იმიტომ შემოვრჩი, რომ კარგად მოსაღამოვებას და შესაბამისად, აგრილებას ველოდი. ამ დროს, ჩემთან, კაბინეტში ახალგაზრდა გოგო შემოვიდა, გამომძიებელი იკითხა, დაჯდა და ტირილი დაიწყო – შეყვარებული მომიკლეს, სამართალს კი ვერ ვპოულობო. მკვლელობების საგამოძიებო განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, რაღა თქმა უნდა, გოგონა დავამშვიდე და ვთხოვე, ყველაფერი დალაგებულად აეხსნა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გოგონას თქმით, შეყვარებული გაქრა. უფრო ზუსტად, ერთ-ერთი საავადმყოფოდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მოხდა ავარია, დაშავდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც სანამ საოპერაციოდ შეიყვანდნენ, ტელეფონის ნომერი და გოგონას სახელი თქვა და ექიმებს სთხოვა, მისთვის დაერეკათ. გოგონა მაშინვე საავადმყოფოში გავარდა, სადაც საბუთებით გაარკვია, რომ საქმე მის შეყვარებულს ეხებოდა. ოპერაცია რამდენიმე საათს გაგრძელდა, გოგოს უთხრეს, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდა, მეორე დღეს კი, როცა შეყვარებულს საკვები მიუტანა, აუწყეს, რომ ის გარდაიცვალა. რაც მთავარია, გოგოს არ ანახეს გარდაცვლილი ბიჭის სხეული და უთხრეს, რომ საერთო სასაფლაოზე დამარხეს. ბიჭი ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი, ნათესავები არ ჰყავდა, ნაქირავებში ცხოვრობდა, სასოფლი-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა და რადგან მორგში ადგილი არ იყო, ასე მალე ამიტომაც დამარხეს. შეყვარებული ნათესავად არ ითვლებოდა, ამიტომ მას გვამს ისედაც ვერ გაატანდნენ. ჰოდა, გოგონას ეჭვი ჰქონდა, რომ რაღაც ისე არ მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო და უპატრონო პაციენტი ექიმებმა, უბრალოდ, გაწირეს.

გამომძიებელმა გოგოს განცხადება დააწერინა და სახლის ნაცვლად, საავადმყოფოში წავიდა. კლინიკის ექიმთან საუბარი საინტერესო გამოდგა.

„რამდენიმე წელია, ამ ბიჭს ვიცნობ, სისხლის დონორია და სისხლს რეგულარულად აბარებდა. ვმეგობრობდით, ვიცოდი, რომ არავინ ჰყავდა და როცა მოიყვანეს, მერწმუნეთ, ყველაფერი გავაკეთე, დარწმუნებული ვიყავი, რომ გადარჩებოდა, მაგრამ შინაგანი სისხლდენა დაეწყო და ვერ ვუშველეთ. ვის დავლოდებოდით? ტყუილად მორგის მაცივარში უნდა შეგვენახა. ამიტომ, ორგანიზება გავუკეთე და საერთო სასაფლაოზე დავამარხინე, აგერ ნომერიც“, – განაცხადა ექიმმა და გამომძიებელს ფურცელზე დაწერილი ნომერი მიაწოდა.

ამ ამბავში საინტერესო იყო ისიც, რომ არავინ იცოდა, ვინ მიიყვანა ბიჭი საავადმყოფოში. ვიღაც ამბობდა, თავისით მოვიდაო, ვიღაცა იძახდა – მანქანიდან გადმოაგდესო, ერთმა ისიც თქვა, ზუსტად მახსოვს, სასწრაფო დახმარების მანქანით მოვიდაო, თუმცა... ჟურნალში არაფერი იყო გატარებული. ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ, სადაც ახალგაზრდა კაცი დაშავდა, ჩანაწერი არ ჰქონდა საგზაო მილიციასაც. „გაიშნიკები“ ოფიციალური გამომძალველები კი იყვნენ, მაგრამ გამორიცხული იყო, ავარიაზე თვალი დაეხუჭათ და არ დაეფიქსირებინათ.

ყველაფერთან ერთად, გამომძიებელი მეორე დღეს სამმართველოს უფროსმა დაიბარა და... საქმის შეწყვეტა მოსთხოვა. როგორც გაირკვა, გოგონა, რომელიც შეყვარებულის გარდაცვალების დეტალების გარკვევას ცდილობდა, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილის ქალიშვილი იყო. სწორედ მან დაურეკა სამმართველოს უფროსს და სთხოვა, რომ მისი შვილისთვის არ მოესმინათ და ძიება შეეწყვიტათ. მართლაც, რომ არა შეყვარებული გოგონა, გარდაცვლილს არავინ მოიკითხავდა. ძიების შეწყვეტას ხელს ერთი დეტალი უშლიდა – განცხადება უკვე დაწერილი და გატარებული იყო, ადამიანი გახლდათ გარდაცვლილი და შესაბამისად, საქმის თაროზე შემოდება არ გამოვიდოდა. ამიტომ, სამმართველოს უფროსმა უთხრა, საფლავის ნომერი ხომ გაქვს, წადი, სასაფლაო ნახე, გარდაცვალების ფაქტი დაადასტურე და საქმე დახურე, არც პირველია და არც ბოლო, როცა ექიმებს ვინმე უკვდებათო.

„რა უნდა მექნა? წავედი საფლავის სანახავად, ეგსგუმაციის ფურცელიც არ მქონდა, უბრალოდ, საფლავი უნდა მენახა. მითითებული ნომერი ადვილად ვიპოვე, მართლაც, ახალი მიწაყრილი იყო და უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, როცა იმ საფლავთან ასაკოვანი კაცი მოვიდა, ჯიბიდან არყის ნახევრად ცარიელი ბოთლი ამოიღო და მკითხა, შენც იცნობდი ამ უბედურს? მოდი, ჭიქა წავუქციოთო. დავინტერესდი, შენ საიდან იცნობდი-მეთქი და, ჩემსავით უპატრონო იყო, ვმეგობრობდით, რამდენიმე დღის წინ, გულმა დაარტყა, ვერ გადაარჩინეს და აგერ, ამოვდივარ, შესანდობარს ვეუბნებიო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძებელმა 30 წამში გაარკვია, რომ მითითებული ნომრით არა ახალგაზრდა ბიჭი, არამედ, 70-ს მიტანებული კაცი იყო დამარხული და მისი მეგობარი ამტკიცებდა, რა ბიჭი, რის ბიჭი, საფლავის გათხრაშიც ვეხმარებოდი აქაურებს და ჩემი ხელით ჩავასვენე მეგობარიო. ეს რაღაც ახალი იყო და რაც მთავარია, იმის საფუძველი, რომ გვამის ეგსგუმაცია მოეხდინათ და გაეგოთ, ვინ იყო დასაფლავებული. სამართველოს უფროსმა ყველაფერი მინისტრის მოადგილეს შეატყობინა და ისიც უთხრა, სამწუხაროდ, ხელს ვერ დავაფარებ, ძიებამ სერიოზული ხასიათი მიიღოო. მან კი ძალიან მშვიდად უპასუხა, საფლავის გათხრა არ არის საჭირო, გამომძიებელი ჩემთან მოვიდეს და ყველაფერს ძალიან მარტივად ავუხსნიო.

„ეგ ბიჭი თავიდანვე არ მომეწონა, ჩემი გოგო კი გადაირია, მიზანდასახულია, სურს, ყველაფერს თავისით მიაღწიოსო. მერე ცალკე დავიბარე სალაპარაკოდ და მივხვდი, ჩვეულებრივი თაღლითი იყო, ისიც თქვა, ჩემი მშობლები რუსეთში ცხოვრობენ, გავიგე, ვინც არიან, იქ მინდა წასვლა, მაგრამ ასეთი ცარიელ-ტარიელი ვერ წავალო. 20 ათასი მანეთი მივეცი იმისთვის, რომ ჩემს გოგოს შეშვებოდა, ოღონდ კატეგორიულად გავაფრთხილე, ისეთი რამ მოიფიქრე, ჩემი შვილი არ დაიტანჯოს-მეთქი. რა ვიცოდი, თუ სიკვდილს მოიფიქრებდა. არ გადამიმოწმებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რუსეთში წავიდა და აქაურ ექიმს 1-2 ათასი მიუგდო. ამ საქმეში დანაშაულის ელემენტები არ არის და თქვენთან თხოვნა მექნება – გადაამოწმეთ ავიაბილეთები ან მატარებელი, დარწმუნდით, რომ მართლა ცოცხალია და საქართველოდან წავიდა, ოღონდ ჩემს გოგოს არაფერი გააგებინოთ, მკვდარი ეგონოს, ასე სჯობსო. ექიმს რაც შეეხება, ეგ თქვენი საქმეა, პასუხს აგებინებთ, თუ არა“, – თქვა მინისტრის მოადგილემ.

სამართალდამცავებმა მეორე დღესვე იცოდნენ, რომ პირი, რომელიც წესითა და რიგით, დამარხული უნდა ყოფილიყო, „ავარიის დღეს“, თბილისი-მოსკოვის რეისით გაფრინდა. ექიმმაც თავი დახარა, ვერ ვუთხარი უარი, ფული არ ამიღია, მეგობრულად მთხოვაო, თუმცა მოსკოველმა სამართალდამცავებმა ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს, რომელმაც განაცხადა, რომ ექიმს 1 500 მანეთი გადაუხადა ამ სპექტაკლში მონაწილეობის სანაცვლოდ. დაკავებული არ გაუსამართლებიათ, სავარაუდოდ, საქართველოდან წაღებული ფულის ნაწილი მოსკოველ გამომძიებლებსაც ერგოთ. გოგონა კი... როგორც ამბობენ, თითქმის ორი წელი დადიოდა საფლავზე, სადაც თავის გულისსწორი ეგულებოდა, შემდეგ კი... გათხოვდა.

პოლიციამ თბილისში, ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ა.ს. ანგარებით, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ანგარების მოტივით განიზრახა საკუთარი ბებიის – 1951 წელს დაბადებული ვ.ს.-ის შეკვეთით მკვლელობა. მას ამ მიზნით დაქირავებული მკვლელისთვის უნდა გადაეხადა 150 000 აშშ დოლარი. ა.ს.-მ პირს, რომელსაც უნდა შეესრულებინა მისი ბებიის მკვლელობა, დაუსახელა მსხვერპლის სახელი, ასაკი, საცხოვრებელი მისამართი და ინტერნეტ-აპლიკაციის მეშვეობით გაუგზავნა ბებიის ფოტოსურათი. ბრალდებულმა დანაშაულის მომზადებისთვის წინასწარ გადასცა გარკვეული თანხა, ხოლო შეკვეთის შესრულების შემდგომ დაჰპირდა დარჩენილი თანხის გადახდას.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების, ასევე, ფარული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ა.ს. დააკავა.

ოჯახის წევრის მიმართ ანგარებით, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-109-ე მუხლის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით.

ალექსანდრე დარახველიძემ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ და საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ გვარამაძემ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები და უწყების თანამშრომლები.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ და საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ გვარამაძემ.

ალექსანდრე დარახველიძემ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლობის ფარგლებში გამოვლენილ გამოწვევებსა და მათი ერთობლივად გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

თამარ გვარამაძემ სახალხო დამცველის მანდატის ძირითადი ასპექტები, სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის სპეციფიკა და მიმდინარე საქმიანობა მიმოიხილა.

შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის პერსპექტივები და სამომავლო გეგმები დასახეს.

სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის პროექტის – „საგარეო უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის მხარდაჭერა საქართველოში“ ორგანიზებით გაიმართა.

ალექსანდრე დარახველიძე ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს წარდგენის ღონისძიებას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, სხვა უწყებების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს წარდგენის ღონისძიებას დაესწრო. ღონისძიების გახსნის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიმართვაში ხაზი გაუსვა საბჭოს წევრი უწყებების კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობას.

ღონისძიების ფარგლებში, სამოხელეო დანაშაულების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ, გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილმა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ალექსი ბატიაშვილმა მოაწერეს.

დოკუმენტი სამოხელეო დანაშაულების, სამართალდამცავების მიერ ჩადენილი ძალადობრივი და არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისთვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას ითვალისწინებს.

ღონისძიებაში მონაწილეებმა განიხილეს მემორანდუმის საფუძველზე სამომავლო თანამშრომლობის ფორმები, მემორანდუმის მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხვიჩამ სპალეტი გააცოფა – ეს შეუძლებელია!!!

იტალიის ჩემპიონატის მეოცე ტურში, „ნაპოლიმ“ საკუთარ მოედანზე დედაქალაქური „რომა“ მიიღო და 2:1 დაამარცხა. მასპინძლებმა პირველი გოლი მას შემდეგ გაიტანეს, რაც ხვიჩა კვარაცხელიამ ვიქტორ ოსიმენს ლამაზი პასი მიაწოდა და რაღა თქმა უნდა, ქართველის აქტიურობა არც მედიას გამორჩენია და არც გულშემატკივარს. ხვიჩასთვის წლევანდელ სეზონში, სერია A-ში, ეს მერვე შედეგიანი გადაცემაა. ამდენი საგოლე გადაცემა იტალიის ჩემპიონატში მხოლოდ ლაციოს სერბ შემტევს, სერგი მილინკოვიჩ-სავიჩს აქვს, თუმცა მის ანგარიშზე 4 გოლია, ხვიჩამ კი მეტოქეთა კარი 7-ჯერ დალაშქრა.

იტალიური მედია ყველაზე მეტად სწორედ კვარაცხელიას ასპარეზობას რომ აკვირდება, ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. პირველ ნახევარში, ირვინ ლოსანომ ქართველს კარგი პასი მისცა, თუმცა კვარამ ბურთს ფეხი ააცილა და კარში ვერ გადაგზავნა, არადა, კარამდე 2-3 მეტრი იყო. კამერებმა მაშინვე ლუჩანო სპალეტი მოძებნეს და მწვრთნელი უკმაყოფილოდ ხელებს შლიდა, თან რაღაცას ამბობდა. ნამატჩევს, სპეციალურად სტუდიაში მიიწვიეს სპეციალისტი, რომელიც ტუჩების მოძრაობით კითხულობს და სწორედ მან თქვა, სპალეტიმ სამჯერ გაიმეორა – „ეს შეუძლებელია!“

გაცუდებული მომენტის მიუხედავად, კვარაცხელიამ ჟურნალისტებისგან მაღალი შეფასება მიიღო, მისი გუნდი კი იტალიის ჩემპიონატს 13-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს და ყველა აღიარებს, რომ თუ სასწაული არ მოხდა, სეზონის ბოლოს, იტალიის ქართველი ჩემპიონი გვეყოლება.

სულამანიძემ პორტუგალიაში ქართული ჰიმნი ააჟღერა

ძიუდოისტთა შორის, პორტუგალიის გრან-პრიზე, საქართველოს ნაკრები თითქოს შესუსტებული შემადგენლობით იყო წასული, მაგრამ არაერთ წონაში ისეთი ბიჭები გვყავდა, რომლებსაც პირველ ნომრობაზე აქვთ პრეტენზია. ქართველი გულშემატკივარი განსაკუთრებით ილია სულამანიძის ჭიდაობას ელოდა. -100 კილოგრამში, ნაკრების კაპიტანი, ვარლამ ლიპარტელიანი გვყავს, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ლეგენდარული ფალავანი პატარა აღარ არის და უდიდესი ალბათობით, მომავალ ოლიმპიადაზე წასვლის პრეტენზია არ ექნება. შესაბამისად, მის შემცვლელად, სწორედ სულამანიძეს მოვიაზრებთ.

ილიამ მთელი ტურნირი დამაჯერებლად განვლო, მაგრამ ის, რაც ნახევარფინალსა და ფინალში გააკეთა, ნამდვილად დასაფასებელია. ფინალისკენ სავალ გზაზე, მას ჩეხი ძიუდოისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლუკაშ კრპალეკი ელოდა. ჭიდაობის სტარტზე აშკარად გამოჩნდა, რომ სულამანიძე კრპალეკს ერიდებოდა, გაფრთხილებებიც მიიღო, შემდეგ კი გათამამდა და ვაზარი აართვა. კრპალეკმა უკანმოუხედავად შეუტია, თუმცა ილიამ თავი კარგად დაიცვა და ფინალში იაპონელთა იმედს, დოტა არაის დაუპირისპირდა. სავარაუდოდ, არაი ილიასგან ასეთ ტემპსა და ტექნიკას არ ელოდა – ქართველმა ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი, ტატამზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ათრია, ორი ვაზარი აართვა და შეხვედრა ვადაზე ადრე დაასრულა.

პორტუგალიაში, ფინალური შეხვედრა დათმო +100 კილოგრამში მოასპარეზე საბა ინანეიშვილმა. არადა, მანაც ფინალამდე ძლიერი მეტოქეები დაამარცხა, მათ შორის, ლეგენდარული ბრაზილიელი, რაფაელ სილვა, თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაში, კორეელ მინჯონ კიმთან ვერას გახდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ზივზივაძე კარიერას გერმანიაში გააგრძელებს

უნგრული „ფეჰერვარისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი ბუდუ ზივზივაძე კარიერას II ბუნდესლიგის „კარლსრუეში“ გააგრძელებს. შეთანხმება მიღწეულია და ბუდუ გერმანიაში კონტრაქტის გადაფორმებლად ამ კვირაშივე ჩავა. გუნდიდან მისი გაშვების მიზეზი კი „უიპეშტთან“ მომხდარი ინციდენტი გახდა. ქართველმა თავდამსხმელმა მატჩის შემდგომ, მეტოქე გუნდის ფეხბურთელს მაისური გაუცვალა, შემდეგ „უიპეშტის“ სათადარიგო სკამისკენ წავიდა, იქაურებს მიესალმა და მოწინააღმდეგე გუნდის ქომაგებს ხელი დაუქნია, რაც გასაგები იყო – ზივზივაძე ბურთს „უიპეშტშიც“ აგორებდა და შესაბამისად, ყველას იცნობდა. ადგილობრივ ქომაგს კი ეს არ მოეწონა, კლუბის ხელმძღვანელებმაც ქართველი გააკრიტიკეს, მეორე გუნდში გადაიყვანეს და ტრანსფერზე დააყენეს.

„კარლსრუე“ ქართველი ქომაგისთვის კარგად ნაცნობი კლუბია. 2007-12 წლებში, იქ ბურთს ალექსანდრე იაშვილი აგორებდა და გუნდის კაპიტანიც იყო. მეტიც, კლუბის ხელმძღვანელობამ ზივზივაძის შესახებ აზრი იაშვილსაც ჰკითხა და რა ძნელი მისახვედრია, რომ იაშკა ბუდუს დადებითად დაახასიათებდა. დღეის მდგომარეობით, „კარლსრუე“ მეორე ბუნდესლიგაში 18 ქულით მე-15 ადგილზეა და გასავარდნ ზონაში მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით არ არის, თუმცა სატურნირო ცხრილში სერიოზული სიმჭიდროვეა და მეათე ადგილოსან კლუბს კარლსრუელები მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებიან.

გუბანოვამ ისტორია გადაწერა

გასულ წელს დავწერეთ, რომ საქართველოს სახელით ძალიან ნიჭიერი რუსი მოციგურავე, ანასტასია გუბანოვა იასპარეზებდა. მან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ბევრს ეგონა, რომ 20 წლის გოგონა რუსეთში კონკურენციას გაექცა, თუმცა რეალურად, გუბანოვასთვის რუსეთის ნაკრებში ადგილი არ მოინახა. ის 14 წლის იყო, როცა უკვე დიდებში სრიალებდა და დიდ კარიერასაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა შემდეგ ტრავმა მიიღო, ერთი წელი დაისვენა და დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მასზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული.

მოგეხსენებათ, უკრაინაში შეჭრის გამო, რუს სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა აკრძალული აქვთ და შესაბამისად, რუსეთის წარმომადგენლები არც ევროპის ჩემპიონატზე იყვნენ. არადა, 2013 წლის შემდეგ ანუ მაშინ, როცა კონტინენტის პირველობა იტალიელმა კაროლინა კოსტნერმა მოიგო, ევროპის ჩემპიონატზე პირველობას რუსეთის წარმომადგენლები უბრალოდ არ თმობდნენ და ევროპის ჩემპიონატი, ზედიზედ ათჯერ, სწორედ რუსებმა მოიგეს. ახლა კი, გუბანოვას ჯერი დადგა და მან ტურნირი დამაჯერებლად მოიგო.

საქართველოს ისტორიაში ეს პირველი ოქროს მედალია არა მარტო ციგურაობაში, არამედ ზოგადად, ზამთრის სახეობებში. აქამდე საქართველოს არცერთ წარმომადგენელს, ზამთრის არცერთ სახეობაში, ოქრო არ ჰქონდა მოპოვებული.

ჯოკოვიჩმა ავსტრალია მეათედ დაიპყრო

ავსტრალიაში სეზონის პირველი დიდი მუზარადის ტურნიორი დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნოვაკ ჯოკოვიჩმა ფინალამდე დამაჯერებლად იარა, იქაც ბერძენი სტეფანოს ციციპასი არ დაინდო და სამ სეტში – 6:3, 7:6, 7:6 მოუმთავრა საქმე. არადა, ჯოკოვიჩი ავსტრალიაში შარშანაც ფავორიტად ჩავიდა, თუმცა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა არ ჰქონდა გაკეთებული და შესაბამისად, ტურნირზე არ დაუშვეს. ნოლემ ავსტრალიის ღია პირველობა კარიერაში მეათედ მოიგო, მთლიანად დიდი მუზარადის ტურნირი კი ოცდამეორედ, რითაც რაფაელ ნადალს გაუთანაბრდა და თუ ერთ მუზარადსაც მოიგებს, ერთპიროვნული ლიდერი გახდება.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს – აქ ცოტა პარადოქსული სიტუაცია გვქონდა. მოგეხსენებათ, უკრაინაში შეჭრის გამო, რუს და ბელორუს სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობა აკრძალული აქვთ, თუმცა ჩოგბურთელები იმ პირობით დაუშვეს, რომ მათი გვარის გვერდით, ქვეყნის ამსახველი სახელწოდება და დროში არ იქნებოდა და გამარჯვების შემთხვევაში, არც ჰიმნი შესრულდებოდა. ჰოდა, ფინალში ერთმანეთს ბელორუსი არინა საბალენკა და რუსი ელენა რიბაკინა შეხვდნენ. რიბაკინამ ომის დაწყების შემდეგ მოქალაქეობა შეიცვალა, რათა ტურნირებზე მონაწილეობის უფლება ჰქონოდა. სლავურ დაპირისპირებაში ბელორუსმა მოიგო.

რუსი ფეხბურთელები ბუცების გარეშე დარჩნენ

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ქვეყანა არაერთმა დიდმა კომპანიამ დატოვა. მათ შორის, „ნაიკი“ და „ადიდასიც“ არიან – სპორტული პროდუქციის მწარმოებელი გიგანტები, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიაზე ყველა მაღაზია დახურეს. პარალელურად, ორივე კომპანიამ, რუს ფეხბურთელებთან ინდივიდუალური კონტრაქტები გააუქმა და შესაბამისად, მათ აღარც ამუნიციას აწვდის. ჰოდა, რუსი ფეხბურთელები ჩივიან, რომ ქვეყანაში ბუცების დეფიციტია და მათ შესაძლებლობა არ აქვთ, პროფესიული ბუცები შეიძინონ.

მეტიც, რუსი ფეხბურთელები საჭირო ნივთების გამოწერას ვერც ინტერნეტით ახერხებენ, რადგან ეს მიმართულებაც დაბლოკილია. იყო შესაძლებლობა, რომ ბუცები ფეხბურთელებს თურქეთში ეყიდათ და სპეციალურად ამისთვის წავიდნენ კიდეც, თუმცა აღმოჩნდა, რომ თურქეთში მხოლოდ ნახევრად პროფესიონალური ბუცები იყიდება და არა ისეთები, რომელიც დიდი ფეხბურთის სათამაშოდ არის საჭირო.

„თუ ასე გაგრძელდება, უბრალოდ, მოედანზე ველარ გავალთ, რადგან ბუცები მალე ცვდება, ისინი მუდმივად უნდა განაახლო, ჩვენ კი ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. გვსურდა გერმანიაში წასვლა, რათა საჭირო პროდუქცია იქ შეგვეძინა, მაგრამ საელჩოში ვიზაზე უარი გვითხრეს და აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ“, – განაცხადა ერთ-ერთმა რუსმა ფეხბურთელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა მხოლოდ იმიტომ არ ისურვა, რომ ეშინია, ამ განცხადების გამო, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცენ.

ქალაქი წუმპე და მისი მოქალაქეები

გიზო თავაძე

ქალაქი წუმპე ყველაზე მშრალი ადგილია დედამიწაზე. აქ ისე გაივლის რამდენიმე წელიწადი, წვიმა და თოვლი კი არა, ცვარიც კი სანატრელი ხდება. ქალაქში არათუ მდინარე, რუც კი არსად მიედინება და სასმელი წყალიც ქალაქ-ჭაობიდან მოაქვთ ურმებით, რომლებზედაც საწნახელები უდგათ.

წუმპეს მოქალაქეები, უწყლობის გამო, ხმელ-ხმელი და გამომშრალები ჩანან ერთი შეხედვით, თუმცა ეს ამბავი მათ არ ანაღვლებთ, რადგან ისინიც ისე მრავლდებიან (სექსი ქალაქში, როგორც ასეთი, არ იკრძალება!..), როგორც მეზობელი ქალაქები – ჭაობი, გუბე და კვატენბურგი.

წუმპელები წყალს თითქმის არ მოიხმარენ. ჰავა, ძირითადად მქისე, ალაგ სუბკონტინენტალური, ზოგან მყაყეც რომ ეთქმის, ისეთია, ამიტომაც ანტარქტიდელებისთვის, მეტ-ნაკლებად ლათინებისათვისაც, ძნელად ჩასასუნთქი გახლავთ.

წყალი, როგორც ამბობენ, გამწმენდი საშუალებაა, რაც ამ ქალაქელთათვის, ყოვლად ზედმეტი რამ ჩანს.

წუმპე უასაკო ქალაქად იწოდება, რადგან მისი ისტორია მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან იწყება, ხოლო ქალაქის საზეიმო დღედ (წუმპექალაქობა) – „25 თებერვალი გათენდება ხვალ...“ – ითვლება.

ქალაქის უმაღლესი (სასულიერო არ არსებობს, პანათეიზმი ბობოქრობს...) პირი, ქურუმი არა, არც კონსული და კეისარი, ჰო, დომესტიკოსი (საიდან მოიტანეს!..) გახლავთ.

დომესტიკოსები ცამეტი წლით აირჩევიან წუმპეს არასრულწლოვანი (ძირითადად ბავშვთა ბაღების) მოქალაქეების მიერ, რადგან სრულწლოვანები სულ დედ-მამის მოხსენიებაში ათენ-აღამებენ საარჩევნო ჟამსაწიერს.

ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა, უდრეკი (პიტალოდაც მოიხსენიებენ) ლენინელები არიან. მარქსს და ენგელსს არც ახსენებენ. ლენინი, ოდენ ლენინი და წუმპექალაქობაზეც სულ (უდრეკი ორატორებიც ჰყავთ) ლენინზე ლექსები ისმის, სიმღერებიც...

წუმპეში აკრძალულია ალკოჰოლური სასმელები, რადგან წყალზე და სპირტზე დამზადებულმა სასმელმა, შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგი მოიტანოს და რომელიმე წუმპელის გამომშრალ-გამომხმარი სხეული (თავისებური სურნელიც ამიტომ დგას ქალაქში) გაწმინდოს!..

ლოგიკოს ჰენვარ წუმპელის დასკვნით, თამადებიც ამის გამო არ იზრდებიან მიმოახლოში.

წუმპეში, ღვაწლმოსილ ლენინელთა დაჟინებული მოთხოვნით (შუაგულ საუკუნეში), შეიქმნა: არასამთავრობო, არაკომერციული, არაპატრიოტული, არაადამიანურ-არაეზოთერული საზოგადოება „წუმპელი“.

საზოგადოებას გააჩნია მრგვალი ბეჭედი და საბანკო ანგარიშები: წუმპეში, ჭაობში, გუბეში და მსოფლიოს ტიტან ქალაქებში, მაგალითად, ვაშინგტონ-ტოკიო-პეკინში...

ხოლო ცნობილმა კომპოზიტორმა, ზელიმხან კაკაზიამ ორიოდ კაწანის საფასურად დაწერა ჰიმნი, რომელიც საზოგადოების წევრთა უმეტესობამ (უასაკობის გამო) ვერ დაიზუთხა, თუმც ალაგ-ალაგ, თვალმილულულნი მაინც ღიღინებენ:

„ჩემი ხატია კაწანი,
საკაწნე მთელი დუნია...“

აქვე განვმარტავთ: „კაწანი“ ფულის ერთეულია ქალაქ წუმპეში, რომელიც მოჭრილია ქალაქ ჭაობის დუმფარებისგან დამზადებულ, უნიკალურ, მწვანე ქაღალდზე (100 და 500 „კაწანზე“ ვ.ი. ლენინის ყოვლად ლამაზი თავი ახატია).

საზოგადოება „წუმპელის“ თავმჯდომარეა ყველა დროის და ყველა ქალაქის მამა და მარჩენალი, წუმპე-ჭაობ-გუბეში სახელგავარდნილი პროქტოლოგი, უმანკო და ხმელი შადიმან წუმპელ ალ სირი.

ქალაქ წუმპეში ძალიან უყვართ სპორტი – თავგადაკლული ქომაგები არიან. მათი საფეხბურთო კლუბი „წუმპის რეალ-ბარსელონა“ სულ გალახული (წაგებას ვინ დაეძებს) ჩამოდის ქალაქ კვატენბურგიდან, ხოლო „ელ-კლასიკოდ“ იწოდება წუმპელთა და ჭაობელთა შერკინება.

წუმპეში სხვა სპორტული თამაშებიც ფრიად მოსწონთ, მაგალითად: რაგბი, კალათბურთი და „სპორტლოტო“ (ლენინის ხათრით).

წუმპელთა წამხედურობით (უფრო სწორად, მათ ჯიბრზე), ქალაქ ჭაობშიც შეიქმნა არაეროვნული საზოგადოება „ჭაობელი“, რომლის საპატიო წევრებად ირჩევენ უცხოეთში მოღვაწე ჭაობელ ბიზნესმენებს (მილიარდერებს), ანდა სრულიად უცხოელებს, რომლებიც ქალაქ ჭაობის აღორძინების ფონდში მილიონობით „ფუნიკს“ რიცხავენ („ფუნიკი“ ჭაობელთა ფულის ერთეულია, რომელზედაც დიდი ჭაობელი პოეტისა და განმანათლებლის ეუსაშველო ბიულ-ბიულ ჩიტის პროფილი ახატია).

წუმპეში ხეებს ფოთლები არ აქვთ (ალბათ, უწყლობის გამო) და ჩიტ-ფრინველიც იშვიათობაა, თუმცა მთლად უყვავოდაც არაა საქმე; ყვავებით სავსეა ქალაქი, მაგრამ იმდენად უფერულები არიან, მათ სიშავეს, ლოგიკოს ჰენვარ წუმპელს თუ დავუჯერებთ, ვერაფრით დაამტკიცებ.

ჰენვარ წუმპელი, ერთობ ხმელი და აწოწილი, როცა ვიეტნამში (რამ წაიყვანა?!) ლოგიკის ზესაიდუმლოებებს ეუფლებოდა, იქაური ბრინჯის არყით მოიწამლა (არაყს, უნებლიედ წყალი დააყოლა...) და თანაკურსელმა ფონგ იუ წუმპმა (გვარის გამოც შეიყვარა ჰენვარმა) გადაარჩინა.

კაი გოგოა ფონგი! – ამბობენ წუმპელები, როცა წუმპეს გამომშრალ ქუჩებში ცხრა შვილთან ერთად გამოჩნდება.

სხვა რომ არაფერი, მარტო ცხრა შვილის გამო (ბავშვები ვიეტნამიდან კი არ ჩამოყოლია კაი გოგო ფონგ წუმპას!..), უნდა მიეღოთ ბატონი ჰენვარი საზოგადოება „წუმპელის“ საპატიო წევრად, მაგრამ, არა და არაო!.. – დაიჟინა პროქტოლოგმა ალ სირმა, „მაგას არაწუმპელი ცოლი (იგივ მეუღლე) ჰყამსო!..“

„მერე რაო, გვარად წუმპაააო!“ – გამოექომაგა ჰანვერს მოსასპობი პოლიტოლოგი ალისტრახ დე არამდინარელი, რომელსაც ვინ რას გამოაპარებდა (პოლიტოლოგი არ იყო!..) ჰოდა, ამბობდა ალისტრახოი გულისგულში, სხვათა არგასაგონად (ზოგჯერ, პირიქითაც...) „ამ ლოგიკოს კაცს, კაწანფლურს ულოგიკოდ ვერავინ აახევს და ამიტომ არ იღებენ არსადო!..“

ქალაქ წუმპეში მუდამჟამ იკრძალებოდა (საიდუმლო დეკრეტ-მანიფესტით!..) სიმართლის თქმა და როცა ერთადერთმა ასტროფიზიკოსმა ნაბუქოდონოსორმა (შეურქმევიათ რა ამისთვისაც სახელი!..) მოინდომა სიმართლის თქმა:

„სად გაგონილა, ოდეს აქამომდე, საზოგადოება „წუმპელის“ წევრებს, ქალაქის ბიუჯეტიდან ჯამაგირებს ურიგებდნენო!..“

მყისვე მუმლივით აიშალნენ წუმპეს მოქალაქენი, ოცდაოთხი ლენინელი, ათეისტ მწიგნობრიანად და საწყალი ასტროფიზიკოსის ქალაქიდან გასახლება მოითხოვეს (მათი უზადო ხელრთვა-ფაქსიმილეები ოქროს ასოებით შევა წუმპეს ისტორიაში, როცა იქნება და ბინას დაიდებს ეთნოგრაფოსთა მუზეუმში).

ნაბუქოდონოსორი კი გადარჩა (იმჟამს), თუმც სიმართლეს არაფერი შემატებია.

აკრძალული დარჩა!..

ჟამიჟამ, როდესაც უცხოელები სტუმრობენ ქალაქს, დომესტიკოსი სერეპო მშვიდი, საზოგადოება „წუმპელშიც“ შეატარებს ხოლმე სტუმრებს, რომლებიც ჯიბეებზე ხელს გაიკრავენ და შესაწირს გაიღებენ („ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!..“)

ესენი კი, საზოგადოება „წუმპელის“ დამაშვრალი წევრები ნიადაგ ტელეფონებს ჩაჰყვირიან: „იმეტებს ჩვენთვის რაიმეს ქალაქი?!“

წუმპე უასაკო, სამშობლოზე დიდი ქალაქია!..

ექიმების შეცდომამ კიდურები დააკარგვინა

დიდ ბრიტანეტში მცხოვრებ გოგონას, რომელსაც მედიკოსების შეცდომამ ხელ-ფეხი დააკარგვინა, 39 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობის კომპენსაცია მიაკუთვნეს. სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლებელი იყო, კიდურების ამპუტაცია თავიდან აერიდებინათ. გოგონა კლინიკაში მენინგიტისა და სეფსისის სიმპტომებით მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მას ყურადღება არ მიაქციეს. პაციენტს „პარაცეტამოლი“ გამოუწერეს და შინ გაუშვეს. რამდენიმე საათის შემდეგ, ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა, გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში კი გაირკვა, რომ მას მენინგოკოკური სეფსისი ჰქონდა. გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად მედიკოსებს ორივე ხელ-ფეხის მოკვეთა მოუწიათ. მშობლებმა კლინიკას სასამართლოში უჩივლეს, ამბობდნენ, რომ გოგონა გართულებებს გადარჩებოდა, მისი მკურნალობა თავიდანვე ანტიბიოტიკებით რომ დაეწყოთ. სასამართლოს განჩინებით, პაციენტს კომპენსაციის ნაწილს თავიდანვე გადაუხდიან, დანარჩენ თანხას კი ნაწილ-ნაწილ, ყოველწლიურად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩაურიცხავენ.

გამოყენებულ პირბადეს სარგებელი მოუძებნეს

კორონა-პანდემიის გამო, პლანეტის მოსახლეობამ უამრავი რაოდენობის პირბადე მოიხმარა და ჯერ კიდევ ძალაშია მისი გამოყენების აუცილებლობა. ნახმარი ნიღბები ნაგავში იყრება და გარემოსაც აბინძურებს. ამერიკელმა სწავლულებმა ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან კი მას სარგებელი მოუძებნეს – პირბადეებს ბეტონის სიმტკიცის ასამაღლებლად გამოიყენებენ. მათ დაამტკიცეს, რომ ასეთი ბეტონის სიმტკიცე 47%-ით მაღალი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივის. სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ბეტონი ნაკლებად დაიბზარება, თუკი მას ჩასხმამდე დაუმატებენ უმცირეს ბოჭკოებს. მკვლევარებმა გამოყენებული პირბადეების ქსოვილი დააქუცმაცეს 5-დან 30 მმ-მდე ზომის ბოჭკოებად და შემდეგ ის დაამუშავეს გრაფენის ოქსიდით. ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, გამოყენებული პირბადეები, ნარჩენების ნაცვლად, სასარგებლო ნედლეულად ვაქციოთ, – აცხადებენ კვლევის ავტორები.

ბრენდული ყუთები ბურგერისთვის

პოპულარულმა ფრანგულმა სამოდელო სახლმა – Louis Vuitton-მა, რომელიც მომხმარებელს ხშირად ანებივრებს ფუფუნების საგნებით, ამჯერად ბურგერებისთვის განკუთვნილი ყუთები გამოუშვა. ამ ლამაზი ნივთის ღირებულება 2 580 დოლარია. ის ხელოვნური ტყავისგანაა დამზადებული და ყვავილებითაა მოხატული. ბრენდული ყუთის კომპლექტში შედის ჭიქის დასადები ნაკრები, რომელიც ბურგერის ინგრედიენტების ფერებშია წარმოდგენილი: კრემისფერი, მწვანე, წითელი, ყავისფერი და ყვითელი.

93 წლის ასტრონავტი დაქორწინდა

ლეგანდარული ამერიკელი ასტრონავტი, „აპოლო-11“-ის მისიის მონაწილე, 93 წლის ასაკში მეორედ დაქორწინდა. სადღესასწაულო ცერემონია ლოს-ანჯელესში გაიმართა. ქორწილის შესახებ პოსტი თავად ოლდრინმა გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში: „ჩემი 93-ე დაბადების დღეზე, მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ ჩემი დიდი ხნის სიყვარული – ანკა ფაური და მე დავქორწინდით“. მთვარის მოდულის პილოტის პოსტს „ტვიტერში“ უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ასტრონავტს პირველი ქორწინებიდან სამი შვილი ჰყავს.

პლანეტის უხუცესი ადამიანი ესპანელია

გინესის რეკორდების წიგნის ინფორმაციით, ამჯერად დედამიწაზე ყველაზე ასაკოვანი ადამიანი 115 წლის ესპანელი ქალბატონია. მარია ბრანიას მორერა კატალონიაში ცხოვრობს. ყველაზე უხუცესის ტიტული მან ფრანგი მონაზვნის, და ანდრეს (ლუსილ რანდონი) გარდაცვალების შემდეგ მიიღო, რომელიც 118 წლისა წავიდა იმქეყნად. მარია მორერა ამერიკაში, სან-ფრანცისკოში დაიბადა და 8 წლის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ესპანეთში გადავიდა. ბოლო 22 წელია, მარია მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს. მას კარგი ჯანმრთელობა და კვლავ ჯანსაღი გონება აქვს. ხანგრძლივ სიცოცხლეს ეს უხუცესი ადამიანი წესრიგითა და სიმშვიდით, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობით ხსნის, ასევე, ბუნებასთან კონტაქტით და ემოციური სტაბილურობით.

საჭმელს კოვზი გააგემრიელებს

ამერიკულმა სტარტაპმა – SpoonTEK, შექმნა მოწყობილობა, რომელიც ჩვეულებრივ კოვზს ჰგავს, მაგრამ ელექტრონული შიგთავსი და ელემენტი აქვს. ერთი ელექტროდი სახელურის ქვედა ნაწილშია, მეორე კი გაჯეტის შინით. რაკიღა ის კვების დროს არის გამოსაყენებელი, კოვზი საკმაოდ გამძლეა წყლისა და მექნიკური ზემოქმედებისგან. შესაბამისად, ასეთი კოვზის გამოყენება თამამად შეიძლება თხევად კერძებშიც. მოწყობილობა ძალიან მარტივად მუშაობს – მომხმარებელი აწვება ელექტროდს, რომელიც სახელურზეა, საკვები კი მეორე ელექტროდს ფარავს. როცა ადამიანი კოვზს პირში იდებს, იკვრება ელექტრული ჯაჭვი და ხდება მსუბუქი ელექტროსტიმულაცია ენის გემობრივი რეცეპტორებისა, რაც აძლიერებს გემოს შეგრძნებებს. იგივე პრინციპი წარმატებით გამოიყენება საკვები ჩხირებისა და კოქტეილის ბოკალებისთვის. ასეთი ელექტრული სტიმულაცია ორგანიზმს არანაირ ზიანს არ აყენებს. ავტორები გვაფრთხილებენ, რომ კოვზი ჭურჭლის სარეცხ მანქანაში არ გავრეცხოთ, მის გამოყენებას არ ურჩევენ ადამიანებს, რომლებიც კარდიოსტიმულატორებს და სხვა მსგავს მოწყობლობებს ატარებენ. სამ ფერში წარმოდგენილი SpoonTEK-ი მყიდველისთვის უკვე ხელმისაწვდომია და სტარტაპის საიტზე ის 29 დოლარი ღირს.

ბრიტანეთის პრემიერი დააჯარიმეს

ბრიტანული საგრაფო ლანკაშირის პოლიციამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რიში სუნაკი საგზაო მოძრაობის წესების გამო დააჯარიმა – სუნაკი უსაფრთხოების ღვედის გარეშე იჯდა მანქანაში. ამ დღეებში, პრემიერმა ავტოში გადაღებული ვიდეო გამოაქვეყნა, ის უკანა სავარძელში იჯდა და თავისი მთავრობის ეკონომიკურ პროგრამაზე საუბრობდა. თუმცა, ბრიტანელებმა ამ პროგამაზე მეტად იმას მიაქციეს ყურადღება, რომ სუნაკი კანონის დარღვევით, ღვედის გარშე მგზავრობდა. სოციალურ ქსელში ვიდეოს გავრცელების შემდეგ, ლანკაშირის პოლიციამ განაცხადა, რომ მათ ლონდონელი, 42 წლის მამაკაცი 100 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. თუკი თანხა დროულად არ იქნა გადახდილი, საქმე სასამართლოში წავა, ჯარიმა კი 500 გირვანქამდე გაიზრდება.

გიგანტური პიცა მოამზადეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში უზომოდ დიდი, გიგანტური ზომის პიცა მოამზადეს. მისი ფართობი 1 300 კვადრატული მეტრია, რითაც გინესის ახალი რეკორდი დამყარდა. წინა რეკორდსმენი იტალიელებმა 2012 წელს გამოაცხვეს, რომლის ზომაც 1 261.65 კვადრატული მეტრი იყო. გიგანტური პიცა „პეპერონი“, ტრადიციულად, მრგვალი ფორმის იყო, მაგრამ არა მთლიანი – ის 68 ათასი ნაწილისგან შედგებოდა. რეკორდულ პიცაზე 6 193 კილოგრამი ცომი, 2 244 კილო ტომატის სოუსი, 3 992 კილო ყველი და უამრავი პეპერონი გაიხარჯა. რეკორდის დამყარების შემდეგ, პიცა ადგილობრივ სასურსათო ბანკებს გადასცეს, რათა ყველა მსურველი დააპურონ.

ოთხი წლისა MENSA-ს წევრი გახდა

ნისლიან ალბიონზე, პორტისჰედში მცხოვრები ბიჭუნა, ტედი ჰობსი ინტელექტუალური საზოგადოება MENSA-ს წევრი გახდა. არადა, ის სულ რაღაც ოთხი წლისაა. როგორც ტედის მშობლები ამბობენ, ბავშვმა 26 თვის ასაკში დაიწყო კითხვა, მალე კი ციფრებზე გადავიდა. ბიჭმა 100-მდე დათვლაც ისწავლა ჩინური ენის მანდარინულ დიალექტზე. მისი უჩვეულო ნიჭის გამო, მშობლებს ტედის სკოლაში ადრე გაშვება სურდათ, მაგრამ ეს მათი პირველი შვილია, თან ის ხელოვნური განაყოფიერებით ჩაისახა, ამიტომ მისი ინტელექტის დონის შედარება ვერავისთან მოხდა. MENSA-ს ექსპერტებმა ბიჭს ტესტირება ჩაუტარეს და აღმოჩნდა, რომ მისი IQ საუკეთესო მაჩვენებლებს უთანაბრდება, რომელსაც პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 2% ფლობს. ტედი ახლა სკოლაში დადის და ინტელექტუალთა საზოგადოებისგან მისი წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატსაც ფლობს.

ოფისში, მაგიდის ქვეშ მუშაობს

ისრაელის მცხოვრებმა ქალმა, მინი მაიერმა სოციალური ქსელების მომხმარებლები გააოცა, როცა განაცხადა, რომ ოფისში, მაგიდის ქვეშ მუშაობს. მისი თქმით, ამ ფორმით ის ყურადღების გადამტან ფაქტორებს ებრძვის, რაც სამუშაო პროცესში ხელს უშლის. როცა სამსახურში ხმაური იწყება, ის ყოველთვის მაგიდის ქვეშ აფარებს თავს, „ნოუთბუქთან“ ერთად. კოლეგები ვერაფრით შეეჩვივნენ ამ მოვლენას, ამიტომ ყოველ ჯერზე გაოცებულები ადევნებენ თვალს უცნაურ თანამშრომელს. სტრესი, მაღალი ხმები, წარუმატებელი შეხვედრა, მძიმე პროექტი – ეს ყველაფერი მაიერს იზოლაციისკენ უბიძგებს.

„მშვიდად ვმუშაობ მაგიდის ქვეშ მანამდე, ვიდრე ჩემი ზურგი არ მაგრძნობინებს, რომ უკვე 36 წლის ვარ“, – ხუმრობს ებრაელი ქალბატონი.

ვერტიკალურ ბაღებს გააშენებენ

ესპანეთის დედაქალაქის მერმა განაცხადა, რომ მალე აამოქმედებენ პროექტს – Calle 30 Natura, რომლის ფარგლებშიც მადრიდის წრიული გზის გასწვრივ მდებარე ბეტონის კედლებს ვერტიკალური ბაღებით დაფარავენ. ტრასის სიგრძე, მთლიანობაში, 32 კილომეტრია. კედლებისთვის ისეთ მცენარეებს აარჩევენ, რომლებიც რთულ პირობებს გაუძლებენ. გამწვანებულ კედლებს მორწყვისა და მონიტორინგის ავტომატიზებული სისტემა ექნება. ამ ვერტიკალურ ბაღებზე დააყენებენ დაბინძურების მაჩვენებლებს, რომლის მეშვეობითაც ჰაერში საშიში ნივთიერებების დონეს განსაზღვრავენ. პროექტის რეალიზაცია სულ მალე, საპილოტე რეჟიმში, 400-მეტრიან მონაკვეტზე დაიწყება.

წყალმცენარეები – მომავლის სუპერსაკვები

სწავლულებმა UCSD-ის ამერიკული უნივერსიტეტიდან, ახალი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. მათი განცხადებით, წყალმცენარეს აქვს შანსი, უახლოეს მომავალში, ნამდვილი სუპერსაკვები გახდეს. ცნობილია, რომ ამ მცენარეების სასარგებლო ბიომასა 167-ჯერ აჭარბებს სიმინდის მაჩვენებელს, თუმცა ერთი და იგივე ფართობზე, შესაძლოა, წყალმცენარეების უფრო დიდი მოსავალი მოვიყვანოთ, ვიდრე სიმინდის. უფრო მეტიც, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მათში ცილებისა და ცხიმების დიდი რაოდენობაა, რაც წყალმცენარეებს ცხოველური საკვების უფრო ეკოლოგიურ ალტერნატივად აქცევს. სპეციალისტების თქმით, წყალმცენარეებში 10-ჯერ მეტი ცილაა, ვიდრე სოიოში. ევროპელმა მკვლევარებმა კი დაადგინეს, რომ მთელი „ბებერი კონტინენტის“ მომარაგება ცილებით მხოლოდ ისლანდიის ტერიტორიიდანაც კი შეიძლება, სადაც საკმაოდ იაფი და უსაფრთხო ენერგიაა და წყალმცენარეების წარმოებაც მეტად პერსპექტიული იქნებოდა. თუმცა, ერთადერთი სირთულე მომხმარებელი და მისი გემოვნებაა, რომლის კორექტირებაც იქნება საჭირო. კერძოდ, ის მსგავსი პროდუქციის ფერს, გემოსა და სუნს უნდა შეეჩვიოს.

განახლებული ტანსაცმელი H&M-ისგან

პოპულარულმა ბრენდმა H&M-მა, რომელიც ტანსაცმელს აწარმოებს, ძველი ტანსაცმლის განახლების ახალი ტექნოლოგია დანერგა. შვედურმა კომპანიამ ტექსტილის გადამამუშავებელი ახალი მანქანა Loop წარადგინა, რომელიც ძველ ტანსაცმელს ანაწევრებს, შემდეგ კი ქმნის ქსოვილს, რომლითაც ახალი ტანსაცმელი იკერება. დანადგარი არ გამოიყენებს წყალს და ქიმიკატებს, რაც ქსოვილის წარმოებას ეკოლოგიურს ხდის. ამიერიდან, სტოკჰოლმის მოსახლეობას შეუძლია ძველი ტანსაცმელი ჩააბაროს, რაშიც მათ კომპანია 11-დან 16 დოლარამდე გადაუხდის. ამ ძველი ტანსაცმლისგან კი სულ რაღაც ნახევარ საათში, ახალ ქსოვილს მიიღებენ.

საწოლი ხვრინვის წინააღმდეგ

კომპანია Xiaomi-მმა „ჭკვიანი“ საწოლი წარადგინა, რომელიც მომხმარებელს ხვრინვის დისკომფორტს მოუხსნის. საწოლი, რომელსაც 8H Feel Leather Smart Electric Bed X Pro ჰქვია, მართვის ინტელექტუალური სისტემითა და ელექტროსადენითაა აღჭურვილი. მისი ავტორების თქმით, ძილის დროს, გარეშე ხმების აღმოჩენისთანავე, საწოლის ზურგი 15 გრადუსით იწევა, რათა ადამიანს ჟანგბადის მისაწოდებლად სასუნთქი გზები გაეხსნას. მას შემდეგ, რაც ხვრინვა შეწყდება, საწოლი ავტომატურად, ისე უბრუნდება საწყის მდგომარეობას, რომ მასზე მწოლიარეს არ გაეღვიძოს. გარდა ამისა, „ჭკვიანი“ საწოლი ინფორმაციას აგროვებს გულისცემისა და სუნთქვის სიხშირის შესახებ. ამ ეტაპზე, საწოლი 968 დოლარი ღირს, თუმცა როცა ის მასობრივ გაყიდვაში ჩაეშვება, მისი ფასი 1 119 დოლარი იქნება.

საკუთარ კატაზე იქორწინა

ბრიტანული გამოცემა „მეტროს“ ინფორმაციით, ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში, ქალი საკუთარ კატაზე დაქორწინდა. ცნობილია, რომ 49 წლის დებორა ჰოჯი და მისი საყვარელი შინაური ცხოველი ინდია, ქალის მეგობარმა „შეაუღლა“. დებორა ამბობს, რომ მის უჩვეულო საქციელს ლოგიკური ახსნა აქვს – წლების განმავლობაში, ის სხვადასხვა ბინაში ცხოვრობდა, რომელთა მფლობელებიც სახლში შინაური ცხოველების შეშვების წინააღმდეგნი იყვნენ. ამის გამო, მას ორი ძაღლისა და ერთი კატის გაჩუქება მოუწია. ქალბატონი ჰოჯი მიიჩნევს, რომ ინდიასთან „ქორწინება“ მის მომავალ ბინათმფლობელებს დაარწმუნებს იმაში, რომ ქალსა და კატას შორის ძლირი კავშირია და მათი დაშორება არ შეიძლება.

უფროსებისთვის რძე საშიშია

რძე ერთ-ერთ ყველაზე უფრო სასარგებლო პროდუქტად მიიჩნევა, თუმცა არა უფროსი ადამიანებისთვის. როგორც ამერიკელმა სწავლულებმა განაცხადეს, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 30%-ს შეუძლია აითვისოს ეს პროდუქტი. ადამიანების უმრავლესობას სწყენს რძე და ხშირად ისინი ამას ვერც კი ხვდებიან. როგორც კვლევებმა აჩვენა, რძისა და რძის პროდუქტების ნორმალურად ათვისების უნარი აზიის მოსახლეობის მხოლოდ 5%-სა და აფრიკის მოსახლეობის 25%-ს აქვს. პროდუქტის ათვისების უნარს ადამიანების უმრავლესობა ადრეულ ასაკში – 2-დან 5 წლამდე კარგავს. ამიტომ, მოზრდილ ასაკში მის მოხმარებას თან სდევს ისეთი უსიამოვნო სიმპტომები, როგორებიცაა დიარეა, მუცლის შებერილობა, მეტეორიზმი და სხვა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები. რძის სწორად ასათვისებლად ორგანიზმს სჭირდება ისეთი ფერმენტების არსებობა, რაც უფროს ადამიანებს არ აქვთ, ან შეზღუდული რაოდენობით აქვთ.

გასახდომი პრეპარატი წარმატებული აღმოჩნდა

ექსპერიმენტულმა პრეპარატმა, რომელსაც ჭარბწონიან ადამიანებზე კლინიკურად სცდიდნენ, მონაწილეებში წონის რეკორდული კლება აჩვენა. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Eli Lilly and Company (Lilly)-ის შექმნილი Tirzepatide, წონაში კლებას ხელს უწყობს ბუნებრივი ჰორმონების – ინკრეტინების ეფექტების მიბაძვის მეშვეობით. ეს ჰორმონები ჭამის შემდეგ სისხლში შაქრის დონეს ამცირებენ და მეტაბოლურ პროცესებს არეგულირებენ. ახალი პრეპარატი, რომელიც ბაზარზე ჯერ ხელმისაწდომი არ არის, ორი კონკრეტული ინკრეტინის სინთეტიკურ კომბინაციას წარმოადგენს. კლინიკური ცდების მესამე ფაზაში 2 500-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი ან მსუქნები იყვნენ, ან – ჭარბწონიანები. 72 კვირის განმავლობაში, მათ ნაწილს Tirzepatide-ს აძლევდნენ, ნაწილს კი – პლაცებოს. კვლევის მსვლელობისას, მოხალისეებში, რომლებიც ახალ პრეპარატს იღებდნენ, დაფიქსირდა წონაში კლების მნიშვნელოვანი დონე (ყველაზე მეტი – 24 კილოგრამი).

სამკურნალო მანიკიური ონკოლოგიას ებრძვის

ვინ იფიქრებდა იმას, რომ სიმსივნით დაავადებული ადამიანები, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი ბალზამის წყალობით, მნიშვნელოვნად შეიმსუბუქებდნენ ცხოვრებას. ასეთ ბალზამში არსებული ნატურალური ზეთებისა და მცენარეული ექსტრაქტების წყალობით, შესაძლებელი ხდება, ქიმიოთერაპიის შემდგომი ზოგიერთი გართულება შეიმსუბუქონ. ამ სპეციალური ფორმულის საფუძველი, რომელიც კლინიკა Addenbrooke's Hospital-ის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, სამკურნალო ზეთები და მცენარეებია. ხშირად, ქიმიოთერაპიას ისეთი არასასურველი შედეგები მოსდევს, როგორებიცაა თმის ცვენა, ფრჩხილების აძრობა და ზოგჯერ მათ ადგილას ჩირქოვანი წყლულების გაჩენა, რასაც თან უსიამოვნო სუნი სდევს. ასეთ პაციენტებს სირთულეები ექმნებათ ელემენტარული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ასეთ ავადმყოფებს შეუძლიათ ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ბალზამი გამოიყენონ, რომლის რეცეპტიც თავად მოიფიქრეს – მასში შედის ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული ოთხი ზეთი, რომელთა მოქმედებითაც მიიღწევა ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი ეფექტი. ამჟამად, სპეციალური ბალზამი გამოცდას გადის 30 პაციენტზე, რომლებიც ქიმიოთერაპიის კურსს იტარებენ.

„გუდვილის“ ბიუსტი ანტიკვარი აღმოჩნდა

აშშ-ში, ქალაქ ოსტინის „გუდვილში“, ლორა იანგმა 35 დოლარად ბიუსტი შეიძინა, რომელიც საბოლოოდ, ხელოვნების ნიმუში აღმოჩნდა. ქალის თქმით, დათვალიერებისას, მას ბიუსტი საინტერესოდ მოეჩვენა და ყიდვა გადაწყვიტა. თანაც, დიდი ხანია, ლორა ანტიკვარულ ნივთებს აგროვებს, ამიტომ შენაძენის შემოწმება გადაწყვიტა. ის ექსპერტებს დაუკავშირდა, რომლებმაც დაადგინეს, რომ სუპერმარკეტში ნაყიდი ბიუსტი ძველ რომში იყო დამზადებული და მისი ასაკი, დაახლოებით, 2 000 წელი გახლდათ. ექსპერტების თქმით, ის რომაელი სარდლის, სექსტუს პომპეუსის გამოსახულებაა. ბიუსტი მეორე მსოფლიო ომამდე, ბავარიის მეფის, ლუდვიგ I დაკვეთით შექმნილ პომპეუსების სახლის ასლში ინახებოდა. ომის დროს, ის საცავში გადაიტანეს, მაგრამ იქიდან მოიპარეს. ამჟამად, ლორას ბიუსტი ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე, სან-ანტონიოს ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი.

ჩაი აპოკალიფსისთვის

კრეატიულმა სააგენტომ მადრიდიდან – Niiiiice, ირონიული სარეკლამო კამპანია წამოიწყო ჩაისთვის – The End, რომელიც სამყაროს დასასრულს „სიამოვნებით“ შეგვახვედრებს. კლიენტებს ბალახეულებზე დამზადებულ კომპოზიციებს სთავაზობენ, რათა მომზადებულნი შეხვდნენ მეტეორიტის შეჯახებას, მასშტაბურ ხანძრებს, ცუნამს, ვირუსებს, ბირთვულ ომსა და ამებებს, რომლებიც ტვინებს ჭამენ. „დატკბით გარდაუვალით“ – ასე ჟღერს ამ კამპანიის ლოზუნგი. ჩაის ხაზში ყველაზე აქტუალური Pandemic Chill-ის მიქსია, რომელიც „ლომონისა და კოჭას ჰარმონიული შერწყმაა“ და კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება. ასორტიმენტშია, ასევე, Meteor Calm – კატაბალახითა და გვირილით, Nuclear Detox – ვანილითა და დარიჩინით, Peace Invasion – ლავანდითა და ჰიბისკუსით და Mint Wildfire – პიტნითა და როზმარინით, რომელსაც დამამშვიდებელი მოქმედება აქვს. ახალი ბირთვული ომი, კლიმატის ცვლილება, ცუნამი და ტვინისმჭამელი ამებებიც კი სასიამოვნოდ მოგეჩვენებათ, თუკი ხელში ცხელი ჩაის ფინჯანი გიჭირავთ, – დარწმუნებულები არიან კომპანიის წარმომადგენლები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.